პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 44-ე წელი

№ 213 (12725) | ოთხშაბათი, 11 სექტემბერი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი საჩუქრები

40.200 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ ჭიათურელი რკინიგზელები, რომლებიც მარგანტრესტის დამტვირთავი პუნქტის კოლექტივს ეჯიბრებიან მეტი შავი ოქროს გაგზავნისათვის.

ჭიათურელმა რკინიგზელებმა 8 თვეში გადაჭარბებით შეასრულეს მარგანეცის გადაზიდვის გეგმა. მარტო აგვისტოში 40.200 ტონა ზეგეგმითი მარგანეცი მოაწოდეს მეტალურგიულ ქარხნებს. სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ანაღდებენ ცვლები, რომლებსაც სათავეში უდგას სადგურის სამანევრო დისპეტჩერი დ. ჭუმბურიძე.

მუშაობა არ წყდება არც დღე და არც ღამე. მაღაროელები სულ უფრო და უფრო მეტ ძვირფას ტვირთს აწვდიან რკინიგზას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რკინიგზელთა გადაწყვეტილებაა კიდევ უკეთ იმუშაონ, კვლავ გაიმარჯვონ შეჯიბრებაში, ძვირფასი საწარმოო საჩუქარი მიუძღვნან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავს და საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობას.

შ. სუქნიძე,
ჭიათურის სადგურას დისპეტჩერი, კომუნისტური შრომის ცვლის ხელმძღვანელი.

საბჭოების უმნიშვნელოვანესი საქმე

ხალხის კომუნისტური აღზრდისათვის წარმოებულ გიგანტურ მუშაობაში დიდი როლი ეკუთვნის მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს. საბჭოებში, ვ. ი. ლენინის აზრით, მასები საკუთარი პრაქტიკული გამოცდილებით ნამდვილად სწავლობენ კომუნისტური მშენებლობის საქმეს, ახალი საზოგადოებრივი დისციპლინის შექმნას.

„თანამედროვე პიროობებში, როცა მეზობელთა დეპუტატების საბჭოების ცხოვრებასა და მუშაობაში დიდი გარდაქმნები მოხდა. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნამ, აგრეთვე თვით საბჭოების გარდაქმნამ საწარმოო პრინციპით უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნა მათი ნაყოფიერი საქმიანობისათვის, ფართო ასპარეზი გადაუშალა მასების ინიციატივასა და შემოქმედებას. საბჭოები უფრო კონკრეტულად მუშობენ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, საყოფაცხოვრებო საკითხებზე, უფრო ღრმად სწვდებიან კულტურულ-საგანმანათლებლო, სასწავლო, სამედიცინო, სკოლამდელ და სხვა დაწესებულებათა მუშაობას. მათი ყურადღების ცენტრშია ზრუნვა საბჭოთა ადამიანის მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის.

აღსანიშნავია, რომ წელს მეტ წილ მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების სესიები განიხილავდნენ საკითხებს, რომლებიც მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს ეხება. რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ, სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების შესახებ. რესპუბლიკის სახინაო ფონდის გამოყენების შემდგომი გაუმჯობესებისა და დაცვის კონკრეტული ღონისძიებანი დასახა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ. მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები განიხილეს ბელორუსიის, უზბეკეთის, ლატვიის, ყირგიზეთის, ხომხეთის, ესტონეთისა და სხვა რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების სესიებმა. აზერბაიჯანისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების სესიებმა მიიღეს დადგენილებანი სახალხო განათლების მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაშია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართოდ გაშლილი ქსელი. სახელმწიფო ყოველწლიურად დიდ თანხებს გამოჰყოფს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საჭიროებისათვის. გარდა ამისა, უკანასკნელ წლებში საბჭოებმა დიდი გამოცდილება შეიძინეს კულტურული მუშაობის საზოგადოებრივ საწყისებზე მოწყობის საქმეში. მაგალითად, მოსკოვში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს 46 კლუბი, 73 კულტურის სახლხო უნივერსიტეტი, 242 სტაციონარული და 2.643 მოძრავი ბიბლიოთეკა, 75 სახალხო წიგნის მაღაზია, 300-ზე მეტი კიოსკი; 13.500 წიგნის მოყვარული სისტემატურად ავრცელებს ლიტერატურას. ფართოდ არის ცნობილი კეთილშობილური წამოწყება ჩერკასის ოლქის სოფლის ახალგაზრდობისა, რომელიც საკუთარი ხელით აშენებს კლუბებს, სპორტულ ბაღებს, სკოლებს. კომის ასს რესპუბლიკაში საზოგადოებრიობის ძალებით ხორციელდება კულტურული მშენებლობის ორწლიანი გეგმა. კულტურულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების ყოველი ღონისძიებებით განვითარება დიდი და პასუხსაგები ამოცანაა.

მაგრამ ყველა საბჭო როდი წყვეტს წარმატებით ამ ამოცანას. საბჭოებს ეთქმით საყვედური იმის გამო, რომ ზოგიერთ ადგილას მივიწყებულია მასებში კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა. მაგალითად, ვოლოგდის ოლქის ბევრ სასოფლო კლუბში მთელი მასობრივი მუშაობა კინოსეანსებითა და საცეკვაო საღამოებით ამოიწურება. ნოვოსიბირსკის ოლქის 297 დიდ სასოფლო დასახლებულ პუნქტში არ უჩვენებენ კინოსურათებს. სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელი ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებებს, ხოლო სბავშვო ბაღებისა და ბაგებისათვის გამოყოფილი სახსრები სისტემატურად გამოუყენებელი რჩება.

ხალხის კულტურის ამაღლებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს სკოლა, რომელიც მშრომელთა დეპუტატების საბჭოების განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. საბჭოებმა და მათმა სახალხო განათლების ორგანოებმა ცოტა რამ როდი გააკეთეს იმისათვის, რომ შესრულებულიყო კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შესახებ. მაგრამ შრომითი სწავლებისა და აღზრდის კონკრეტული სიკეთხები ბევრ სკოლაში ჯერჯერობით კვლავ ცუდად წყდება. საწარმოთა და კოლმეურნეობათა ზოგიერთი ხელმძღვანელები, საბჭოებისა და მათი ორგანოების წაყრუების შედეგად არ იყენებენ სახელმწიფოს მიერ სკოლების მშენებლობისათვის გამოყოფილ სახსრებს. 1963 წლის პირველ ნახევარში გაიხსნა მნიშვნელოვნად ნაკლები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, ვიდრე გასული წლის პირველ ნახევარში.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოები ჩვენში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიც არიან და მშრომელთა ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. ცალკეულ საბჭოთა მუშაკებს, როგორც ჩანს, არ შეუგნიათ ეს, მათს მუშაობაში ჯერ ისევ მეტი ადგილი უჭირავს ადმინისტრირების ელემენტებს. ჯერ კიდევ იჩენს თავს რწმენა გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა ძალისადმი. მუშაობის ლენინური სტილი გულისხმობს ხელმძღვანელობას არა მარტო ბრძანებებითა და განკარგულებებით, არამედ უწინარეს ყოვლისა ადამიანების დარწმუნებით, მათი ორგანიზაციით, თვით მასების აზრისა და წინადადებათა ყოველმხრივ გამორკვევითა და პრაქტიკული გათვალისწინებით.

სასიხარულოა, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების გარშემო მშრომელთა სულ უფრო და უფრო მეტი თვითმოქმედი ორგანიზაცია ირაზმება. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა გამოიწვია ძალ-ღონის, ენერგიისა და ინიციატივის ახალი მოზღვავება ქუჩის, უბნის, სახლის კომიტეტების, ხელშემწყობი კომისიების, მშობელთა კომიტეტების, სახალხო რაზმეულების, ქალთა საბჭოების, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებთან არსებული საზოგადოებრივი საბჭოებისა და სხვა თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობაში. ადგილობრივ საბჭოებს მართებთ ყოველდღიურად წარმართავდნენ მშრომელთა თვითმოქმედი ორგანიზაციების მუშაობას, უფრო მეტად ზრუნავდნენ ამ მუშაობის შინაარსის გაუმჯობესებისათვის. სწორად არ იქცევიან ის საბჭოთა მუშაკები, რომლებიც გატაცებული არიან თვითმოქმედი ორგანიზაციების რაოდენობრივი ზრდით და ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ, ვერ ხედავენ, რომ ზოგიერთმა თვითმოქმედმა ორგანიზაციამ კარგად არ იცის თავისი უფლება-მოვალეობანი. ისინი იმეორებენ ერთიმეორის საქმეს, ზოგჯერ კი კისრულობენ შეუფერებელ ფუნქციებს.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მთელი მრავალფეროვანი საქმიანობა მოწმობს, რომ საბჭოები ჩვენი პარტიის საიმედო დასაყრდენია კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში, რომ სულ უფრო და უფრო იზრდება მათი როლი და მნიშვნელობა.

პარტიული ორგანიზაციების ამოცანაა ყოველმხრივ დაეხმარონ საბჭოებს, თვითონ კი არ უნდა კისრულობდნენ საბჭოების საქმის შესრულებას, არამედ წარმართავდნენ მათს საქმიანობას. საბჭოების კომუნისტი დეპუტატები, პარტიული ჯგუფები, აღმასრულებელ კომიტეტებსა და მათს ორგანიზაციებში მომუშავე კომუნისტები მოწოდებული არიან ყოველდღიურად იზრუნონ, რომ საბჭოები კარგად ასრულებდნენ თავიანთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას — ეწეოდნენ ყოველდღიურ და საფუძვლიან კულტურულ-აღმზრდელობითს მუშაობას მასებში.

გორელ ფეიქართა წარმატება

გორი. (საკ. კორ.). პირველი კოსმონავტი ქალი ვალენტინა ტერეშკოვა ბამბეულის კომბინატის პირველი და მეორე სართავი ფაბრიკების საფთილე-საარშიე საამქროებში მომუშავე გლაშქარაშვილისა და გ. ხუციშვილის ბრიგადების საპატიო წევრია.

როცა ვ. ტერეშკოვას ბრიგადაში საპატიო წევრად რიცხავდნენ, ორივე ბრიგადის წევრებმა საქართველოს კპ XXII ყრილობის შესახვედრად ვალდებულება აიღეს ყოველდღიური საწარმოო დავალება საშუალოდ ორმაგად შეესრულებინათ. სასახელოა, რომ ისინი სიტყვას არ ღალატობენ, ენერგიულად შრომობენ.

აგვისტოში ორივე ბრიგადამ საწარმოო დავალება გადამეტებით შეასრულა. თვიური გეგმის გადაჭარბებით თვითეულმა ბრიგადამ 2-2,5 ათასი კილოგრამი ხარისხიანი ფთილა დაართა. შრომაში განსაკუთრებით ისახელეს თავი ა. ხუმარაშვილმა, რ. პარამონოვამ, მ. მამუკაშვილმა და სხვებმა.

შვიდწლედის სიახლენი

ყურძნის გადასამუშავებელი ახალი საამქრო

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებობს საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც კვების მრეწველობის მექანიზაცია-ავტომატიზაციის საკითხებზე მუშაობს. მას ო. ანანიაშვილი ხელმძღვანელობს. ყურძნის გადამუშავების ავტომატიზაცია-მექანიზაციის პრობლემებით განსაკუთრებით დაინტერესებულია კონსტრუქტორი ი. ქადეიშვილი. მან შექმნა ახალი კონსტრუქციის კარუსელური სისტემის ყურძნის გადასამუშავებელი განუწყვეტელი მოქმედების ხაზი. ეს სრულიად ახალი საქმეა ყურძნის გადამუშავების ტექნოლოგიაში.

ამის საფუძველზე ზესტაფონის ღვინის ქარხანაში აშენდა ახალი საამქრო, სადაც დაამონტაჟეს ახალი კონსტრუქციის მოწყობილობა-დანადგარები. მონტაჟს ხელმძღვანელობდა წამყვანი კონსტრუქტორი გ. ფხალაძე. ახალი საამქროს მონტაჟზე თავი გამოიჩინეს ზეინკალ-მექანიკოსებმა დ. ზაქრაძემ, ვ. დიევმა, შემდეგ ელექტრიკოსებმა ი. კონონოვმა და სხვა.

განუწყვეტელი მოქმედების ხაზი ავტომატიზებულია. იგი ყოველ საათში გადაამუშავებს 20 ტონა ყურძენს. ამისთვის წინათ საჭირო იყო 30 კაცი, ახლა კი მხოლოდ ოთხი კაცი მართავს საამქროს, მინიმუმამდე მცირდება დანაკარგები, უმჯობესდება ღვინის ხარისხი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მიიღეს

პორტუგალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია

9 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **მ. ა. სუსლოვმა** მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვეული მოსკოვში მყოფი პორტუგალიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი **ალვარო კუნიალი,** პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი **სერგიო ვილარიგესი,** პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები **ფრანსისკო მიგელ, ჟოა კიმ გომესი** და **ანტონიო ტერეზაზო.**

საუბრის დროს მოხდა ინფორმაციათა ურთიერთგაცვლა ორივე მოძმე პარტიის საქმიანობის შესახებ, აგრეთვე ამ. ა. კუნიალმა გააცნო პორტუგალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლახან გამართული პლენუმის შედეგები და პლენუმის მიერ მიღებული დოკუმენტები.

საუბარმა მეგობრულ, გულითად ვითარებაში ჩაიარა და ცხადყო ორივე პარტიის შეხედულებათა სრული ერთობა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომპარტიის ძმური ურთიერთობა.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეების მოადგილეებმა **ვ. ი. სნასტენმა** და **დ. პ. შევლიაგინმა.** (საკდესი).

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმი

მოსკოვი, 10 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაიხსნა სრულიად საკავშირო საზოგადოება **„ცოდნის“** გამგეობის VII პლენუმი. მის მუშაობაში მონაწილეობენ ცნობილი მეცნიერები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწენი, წარმოების სპეციალისტები, საზოგადოების ადგილობრივ ორგანიზაციათა მუშაკები, სულ 1.200-მდე კაცი. სხდომის პრეზიდიუმში არიან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ლ. თ. ილიჩოვი,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტები **ვ. ა. კირილინი, ნ. ნ. სემიონოვი,** აკადემიკოსები **ი. ი. არტობოლევსკი, ა. ი. ოპარინი, პ. ნ. პოსპელოვი,** სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორი **გ. პ. ფრანცევი,** საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი **ტ. ნ. ნიკოლაევი,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კ. რომანოვსკი** და სხვები.

მოხსენება „სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით“, წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ **ვ. ი. სნასტენმა.**

სრულიად საკავშირო საზოგადოება „ცოდნის“ გამგეობის პლენუმი გაგრძელდება ორ დღეს.

საიათნოვას იუბილესათვის

10 სექტემბერს საქართველოს მწერალთა კავშირში მწერალთა კავშირის პირველი მდივნის ირაკლი აბაშიძის თავმჯდომარეობით გაიმართა XVIII საუკუნის შესანიშნავი პოეტის, ამბერკაევკასიის ხალხთა მეგობრობის მომღერლის საიათნოვას დაბადების 250 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმის მომწყობი კომისიის სხდომა. მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გადაწყვეტილებით ეს ღირსშესანიშნავი თარიღი აღინიშნება მომდინარე წლის ოქტომბერში.

კომისიამ დაამტკიცა საიუბილეო ღონისძიებათა მოწყობის გეგმა. 23 ოქტომბერს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება საიუბილეო საღამო. მოხსენებას საიათნოვას ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გააკეთებს საქართველოს სახალხო პოეტი გიორგი ლეონიძე.

საიუბილეო დღეებში საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში გაიმართება ამბერკაევკასიის რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, უნივერსიტეტებისა და მწერალთა კავშირების გაერთიანებული სამეცნიერო სესია. სესია მოიხმენს 12 მოხსენებას. 23 ოქტომბერს საიათნოვას საფლავზე გაიმართება მიტინგი. აქ დაიდგმება ახალი მემორიალური დაფა, რომელზეც იქნება წარწერები სომხურ, ქართულ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე და საიათნოვას ლექსების ნაწყვეტები ამბერკავკასიის სამი მოძმე ხალხის ენებზე.

საიათნოვას იუბილესათვის სახელმწიფო გამომცემლობანი „ლიტერატურა და ხელოვნება“, „ნაკადული“ გამოუშვებენ საიათნოვას ლექსთა კრებულებს, რომლებიც მან ქართულ ენაზე დაწერა. ამავე თარიღისათვის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ გამოუშვებს მონოგრაფიას საიათნოვას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

კომისიამ დაამტკიცა დელეგაციის შემადგენლობა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის ირაკლი აბაშიძის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საიუბილეო ზეიმში ერევანში, ხოლო შემდეგ მოსკოვში. (საქდესი).

ჩაის ფოთოლი — ღლიური გეგმის ზევით

10 სექტემბერი — კლანტაციებში

მახარაძის სახელობის სამმართველოს საგვმო-ეკონომიური განყოფილების უფროსმა ამხ. ზ. დუმბაძემ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომლებთან საუბარში განაცხადა: მახარაძელმა მეჩაიეებმა წელს სასახელოდ იმუშავეს. სულ სეზონის დაწყებიდან 38.975 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს. ეს შარშან ამავე დროსთან შედარებით 1.600 ტონით მეტია. წლიური გეგმით მოსაკრეფი იყო 37.605 ტონა „მწვანე ოქრო“. გუშინ წლიური გეგმის ზევით მოიკრიფა 200 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

ფოთლის კრეფის წლიური გეგმა დიდიხანია შეასრულეს და ახლა ჩაის ნედლეულს გეგმის ზევით კრეფენ განახლების, ჯუმათის, ნაგომრის, ასკანის, ბახვის, ჩოხატაურის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები. სოფელ ლიხაურის კოლმეურნეობის წევრმა ანგელინა შველიძემ გუშინ მოკრიფა 45 კილოგრამი „მწვანე ოქრო“, სულ სეზონის დაწყებიდან 6 ათასი კილოგრამი. ასევე სასახელოდ მუშაობენ სოფელ შემოქმედის კოლმეურნეობის წევრი ნათელა ჭანტურიძე, სოფელ გორაბერეჟოულის კოლმეურნეობის წევრები ნინო კოტრიკაძე და ნაზი ბერიძე. სოფელ ქვედა ბახვის კოლმეურნეობის წევრმა თინა გოგოლაშვილმა უკვე მოკრიფა 9.500 კილოგრამი ჩაი, კიდევ ათას კილოგრამს მოკრეფს. გუშინ ვალდებულების ანგარიშში ამხ. გოგოლაშვილმა მოკრიფა 70 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ცხაკაიას სახარმო სამმართველოს მეჩაიეებმა წელს თავი ისახელეს. ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 9.680 ტონისა მოკრიფეს და ფაბრიკებს ჩაბარეს 10.300 ტონაზე მეტი ფოთოლი.

ახლა რაიონში ფოთოლს ვალდებულების ანგარიშში კრეფენ. კვლავ მოწინავეთა რიგებშია სოფელ ზანის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე ტატიანა ტყეზჩავა. მან სეზონის დაწყებიდან მოკრიფა 9.600 კილოგრამზე მეტი ჩაი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 ათასი კილოგრამისა.

ჩვენი კორ.

წელს უკვე 4.300 კილოგრამი „მწვანე ოქრო“ მოკრიფა მახარაძის სახარმოო სამმართველოს სოფელ მერიის კოლმეურნეობის კოლმეურნეობის მერგოლურმა ნუნუ ვასაძემ. ახალგაზრდა კოლმეურნე კარგად შრომობს და წარმატებით სწავლობს დაუსწრებლად საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მესამე კურსზე.

• • •

სურათზე: მეჩაიე ნ. ვასაძე.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

180.000 ტონა ჩაისაფოთლე!

დაწინაურებულნი

ლანჩხუთის სახარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა ჯერ კიდევ აგვისტოს მეექვსე ხუთდღიურისათვის შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიჰყიდეს 9.455 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“ — ჰექტარზე მიიღეს 4 ათასზე მეტი კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ახლა სწრაფი ტემპით მუშაობენ ვალდებულების გასანაღდებლად. კვლავ დაწინაურდა სოფელ მამათის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე პ. შეკავრდაძე, პარტორგანიზაციის მდივანი ნ. ხელაძე). აქ ყოველდღიურად წლიური გეგმის ზევით 6-7 ტონაზე მეტი ფოთოლი იკრიფება. ქების ღირსია უხვი მოსავლის ოსტატი ოლია ჩხაიძე. მას სეზონში უნდა მოეკრიფა 3.600 კილოგრამი ფოთოლი. გახუნუკეტლივ ყოველგვარ ამინდში კრეფის შედეგად უკვე მოკრეფილი აქვს 7.500 კილოგრამზე მეტი ჩაის ნედლეული.

— სეზონის დამთავრებამდე სულ 9.700 კილოგრამ ფოთოლს მოვკრეფ — ასეთი დეკეზიით მუშაობს ახლა ო. ჩხაიძე. ასევე სასახელოდ მუშაობენ ქეთო კილაძე, ნაზი მასხულია და მრავალი სხვა.

სიტყვის ხალხი

ფოთლის კრეფის სეზონი რომ იწყებოდა, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოში შემავალმა სოფელ რუხის საყრდენ-საჩვენებელმა კოლმეურნეობა „საქართველომ“ (თავმჯდომარე ა. კუტალია, პარტორგანიზაციის მდივანი კ. ქარჩავა) იკისრა „მწვანე ოქროს“ კრეფის წლიური გეგმა შეესრულებინა ვადაზე ერთი თვით ადრე. პლანტაციის კარგი მოვლის შედეგად რუხელმა კოლმეურნეებმა დათქმულზე 10 დღით ადრე მოკრიფეს და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარეს 1.650 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“.

რუხის კოლმეურნეობის წევრები მიღწეულით როდი კმაყოფილდებიან. ახლა აქ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ წლიური გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ სახელმწიფოს 200 ტონა ჩაის ნედლეული.

ფოთოლი ადრე დილიდან გვიან საღამომდე იკრიფება, კვლავ ისახელეს თავი ბრიგადირებმა ვ. კვარაცხელიამ, ა. კიკალეიშვილმა, ზ. არღვლიანმა, დ. გულორდავამ, ბ. ჯაბურიამ, დ. ძაბუტაშვილმა, ვ. შენგელიამ, კოლმეურნეებმა ი. წულისკერიამ, ა. ფარცხვანიამ, ა. გეგიამ, ნ. ჯანაშიამ, ნ. ჯაფლუამ და სხვებმა. ისინი ფოთლის კრეფის ყოველდღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ.

ისლანდიელი სტუმრები

10 სექტემბერს საღამოს თბილისში ჩამოვიდა „ისლანდია-სსრ კავშირის საზოგადოების დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში არიან მუსიკის მეცნიერებათა დოქტორი, კომპოზიტორი **ჰატლგრიმურ ჰელგასონი,** საზოგადოების აქტივისტი, ისლანდიის სოციალისტური მოძრაობის ვეტერანი **იონ გრიმსონი,** ამ საზოგადოების სიგლუფიორდურის განყოფილების თავმჯდომარე **კრისტიანუნ სიგტრიგსენი.**

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურის ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **ა. ნ. ულენტი,** რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩამოსვლის დღეს დელეგაციის წევრები ეცნობოდნენ თბილისს. (საქდესი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოსადმი

9 სექტემბერს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს მოსკოვში გაუგზავნა ნოტა იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინელმა მოქალაქეებმა დაარღვიეს საბჭოთა კავშირში მოქმედი საბაჟო კანონები და წესები.

ნოტაში ნათქვამია, რომ 7 სექტემბერს საბჭოთა სახაზღვრო სადგურ ნაუშკიში, როცა ხდებოდა № 7 მატარებლით პეკინიდან მოსკოვს მომავალი მგზავრებს საბაჟო შემოწმება, საბაჟო ორგანოებმა ზოგიერთ ჩინელ მოქალაქეს ჩამოართვეს სსრ კავშირისადმი მტრული ხასიათის გამოცემანი, რომელთა შემოტანა საბჭოთა კავშირში აკრძალულია.

ჩინელი მოქალაქეები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ საბჭოთა სახაზღვრო და საბაჟო ორგანოების მუშაკებისათვის განეხორციელებინათ საბჭოთა კანონებით მათთვის დაკისრებული ამოცანები. ჩინელმა მოქალაქეებმა დაარღვიეს წესიერება სადგურში და დაკავეს მატარებელი. ნოტაში აღნიშნულია, რომ მატარებლის ჩინელთა ბრიგადისა და ჩინელ მოქალაქეთა მიზეზით ასზე მეტი მგზავრი, საბჭოთა კავშირისა და სხვა სახელმწიფოების მოქალაქეები დამატებითი საბჭოთა მატარებლით მოსკოვს გამგზავრებულ იქნა 4,5 საათის დაგვიანებით.

ჩინელმა მოქალაქეებმა უარი თქვეს მოსკოვს წასვლაზე, დარჩნენ სადგურ ნაუშკიში და 7-8 სექტემბრის განმავლობაში განაგრძობდნენ უწესობას, სჩადიოდნენ აღმაშფოთებელ ხულიგნობას და ყოველგვარ პროვოკაციას მიმართავდნენ საბჭოთა თანამდებობის პირთა წინააღმდეგ.

თავისთავად ცხადია, ნათქვამია ნოტაში, რომ საბჭოთა მთავრობას, როგორც ყოველი სუვერენული სახელმწიფოს მთავრობას, არ შეუძლია შეურიგდეს იმას, რომ მის ტერიტორიაზე უცხოელმა მოქალაქეებმა დემონსტრაციულად დაარღვიონ შინაგანი კანონები და წესები, აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობის საერთოდ მიღებული ნორმები.

ჩინელ მოქალაქეთა მიერ სადგურ ნაუშკიში ჩადენილი მოქმედება საბჭოთა კანონების მიხედვით ისჯება სისხლის სამართლის წესით. ნოტაში ხაზგასმულია: საბჭოთა მთავრობამ, ხელმძღვანელობს რა მუდმივი მისწრაფებით აღკვეთოს ურთიერთობის გამწვავება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, გადაწყვიტა დასჯერდეს ამ ჩინელი მოქალაქეების გაძევებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან. მატარებლის უფროსი სიაო ვენ-ლინი, რომელიც უწესობის ორგანიზატორია, აგრეთვე № 7 მატარებლის ჩინელთა ბრიგადის წევრები შემდეგში აღარ იქნებიან შემოშვებული სსრ კავშირის ტერიტორიაზე.

საბჭოთა მთავრობა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედებენ კანონები და წესები, რომლებიც დაადგინა საბჭოთა ხალხმა, და არავის არ ეძლევა ნება მოურიდებლად დაარღვიოს ისინი.

ნოტაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის მოქალაქეთა სამარცხვინო მოქმედება საბჭოთა ტერიტორიაზე მხოლოდ და მხოლოდ უკიდურესი აღშფოთების გრძნობას იწვევს საბჭოთა ხალხში. საბჭოთა მთავრობა მოელის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა მიიღებს საჭირო ღონისძიებებს, რათა ჩინელი მოქალაქეები, რომლებიც საბჭოთა კავშირში მოემგზავრებიან და მისი სტუმარმოყვარეობით სარგებლობენ, სრული პატივისცემით მოეკიდონ საბჭოთა კანონებს, საბჭოთა სახელმწიფოს სუვერენიტეტს და არ ჩაიდინონ რაიმე მოქმედება, რომელიც კი არღვევს საერთაშორისო სამართლის საერთოდ მიღებულ ნორმებს და ზიანს აყენებს ჩვენი ორი ქვეყნების ხალხთა მეგობრობას. (საკდესი).

პრეზიდენტი შიშობს

ვაშინგტონი, 10 სექტემბერი, (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ მოუწოდა სენატს მოიწონოს ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსური სივრცეში და წყალქვეშ. ამ მოწოდებას შეიცავს რადიოსატელევიზიო ინტერვიუ, რომელიც პრეზიდენტმა გუშინ მისცა ენ-ბი-სის კორესპონდენტებს.

ინტერვიუში დიდი ადგილი ეთმობა მდგომარეობას სამხრეთ ვიეტნამში.

პრეზიდენტმა კენედიმ განაცხადა, რომ შეერთებული შტატები არ აპირებენ შეამცირონ სამხედრო დახმარება ნგო დინ დიემის რეჟიმისადმი. „თუ ჩვენს დახმარებას შევამცირებთ, თქვა მან, ამით შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ მთელს მთავრობის სტრუქტურაზე იქ. მეორე მხრივ, შეიძლება შეიქმნეს ვითარება, რომელიც რღვევას გამოიწვევს. კარგად გვახსოვს, თუ რა მოხდა ჩინეთში მეორე მსოფლიო ომის ბოლოს, როცა ჩინეთი დავკარგეთ. სუსტი მთავრობა სულ უფრო უძლური იყო კონტროლი გაეწია მოვლენებისათვის. არ გვსურს, ეს კვლავ განმეორდეს“.

პრეზიდენტი შეეხო აგრეთვე მთელ რიგ საგარეო პრობლემებს, რომლებიც შეეხებიან ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიურ მდგომარეობას.

იანოშ კადარი ჩავიდა იუგოსლავიაში

ბელგრადი, 10 სექტემბერი. (საკდესი). უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტ

კონტრასტები და რეგერვები

ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲕᲣᲐᲕᲓᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲒᲐ

რიონის ველზე, იქ, სადაც, მთის პატარა მდინარის ყუმურის შესართავია, ერთიმეორის მიყოლებით გადაშლილა მაიაოვსკის საწარმოო სამმართველოს სოფელ შუამთის ლენინის სახელობისა და სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობის მინდვრები.

არაფრით არ განსხვავდება ამ ორი კოლმეურნეობის მიწები ერთმანეთისაგან. მეზობლებს ყოველმხრივ ერთნაირი პირობები აქვთ, და ეს პირობები, კაცმა რომ თქვას, ყველაზე უკეთესია მთელ საწარმოო სამმართველოში.

სამწუხაროდ, ამ ერთნაირ რეზერვებს ერთნაირად როდი იყენებენ ორივე კოლმეურნეობაში. პირიქით, ამ კოლმეურნეობათა სამეურნეო საქმიანობაში დიდი კონტრასტებია. მაშინ, როცა ტობანიერის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა, შუამთის კოლმეურნეობა წლობით ჩამორჩენილია, ერთ ადგილს ტკეპნის.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შუამთის კოლმეურნეობას ერთხელაც არ შეუსრულებია ყურძნის მოსავლიანობის გეგმა. საშუალოდ ჰექტარზე აქ მოსავალი 7-12 ცენტნერს არ აღემატება (!). ერთხელაც არ შეუსრულებიათ აგრეთვე ბოსტნეულისა და ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გეგმები. იკლო სიმინდის მოსავალმა, ხორცისა და რძის წარმოებამ. წლობით არ სრულდება ფულადი შემოსავლის გეგმები.

1961 წელს ფულადმა შემოსავალმა 58.000 მანეთი შეადგინა. შარშან კი 56.000 მანეთზე ჩამოვიდა. მიმდინარე წელს გათვალისწინებული აქვთ 72 ათასი მანეთის შემოსავალი მიიღონ, შვიდი თვის მანძილზე კი მიღებული აქვთ მხოლოდ 13 ათასი მანეთი.

როცა შუამთის კოლმეურნეობის შარშანდელ მაჩვენებლებს მეზობელი, ტობანიერის კოლმეურნეობის მაჩვენებლებს ადარებ, კიდევ უფრო ნათლად წარმოგიდგება მეურნეობის გაძღოლის სულ სხვადასხვა შედეგები, მეტად დამაფიქრებელი კონტრასტები.

შარშან შუამთაში მოიყვანეს ჰექტარზე: სიმინდი — 19,5 ცენტნერი, ყურძენი — 12, ბოსტნეული — 27,8 ცენტნერი; ტობანიერში კი — სიმინდი 42,7 ცენტნერი, ყურძენი — 60,7, ბოსტნეული — 115 ცენტნერი. ფულადმა შემოსავალმა შუამთაში შეადგინა 56.000 მანეთი, ტობანიერში კი — 114.000 მანეთი.

თუმცა ორივე კოლმეურნეობას ნიადაგისა და ჰავის თანაბარი პირობები აქვთ, შუამთის არტელი რატომღაც შეიწყალეს, გაცილებით უფრო დაბალი მაჩვენებლები დაუგეგმეს, მაგრამ შუამთელებმა ამ დაბალ მიჯნებსაც ვერ გადააბიჯეს.

ასე გრძელდება მიმდინარე წელსაც. მართალია, კოლმეურნეობის ახალმა ხელმძღვანელობამ (თავმჯდომარე ა. ჯოგლიძე) უფრო ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი, მაგრამ გარდატეხა მაინც არ იგრძნობა.

მაშინ როცა ტობანიერის კოლმეურნეობას გადამეტებით აქვს შესრულებული მსხვილფეხა პირუტყვის, მათ შორის ძროხების სულადობის გეგმა, ხოლო წველადობის შვიდი თვის შედეგებით პირველი ადგილი უჭირავს საწარმოო სამმართველოში, შუამთის კოლმეურნეობას მსხვილფეხა პირუტყვის, კერძოდ ძროხების, სულადობაც აკლია და წველადობაშიც ბოლო ადგილზეა. სამაგიეროდ იმატა პირუტყვის სიკვდილიანობამ. მარტო შვიდ თვეში მოკვდა 22 სული მსხვილფეხა პირუტყვი და 30 სული ღორი.

კოლმეურნეობის ასე ჩამორჩენა ადამიანთა ცუდად ორგანიზებამ, შრომითი და საწარმოო დისციპლინის მოშლამ, რეზერვების შეუფასებლობამ გამოიწვია.

ვერ ვიტყვი, რომ კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი თ. მამფორია) იშვიათად განიხილავდეს შრომის დისციპლინის განმტკიცებისაკენ, კომუნისტთა ავანგარდული როლის ამაღლებისაკენ მიმართულ საკითხებს. მაგრამ ამას სასურველი შედეგები არ მოსდევს.

კოლმეურნეთა საგრძნობი ნაწილი გაურბის, თავს არიდებს შრომას. მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო სამეშაოთა პირველ პერიოდში შრომადღეების მინიმუმი არ გამოუმუშავებია 46 კოლმეურნეს, ხოლო მეორე პერიოდში — 59 კოლმეურნეს.

გულსატკენი და დასანანია, რომ ჯანღონით სავსე ახალგაზრდები იური გიორგაძე, ეუფუნა კოპალეიშვილი, ნაზი ბაღდავაძე, ანა და მარო ბახტაძეები სრულებით არ მონაწილეობენ საკოლმეურნეო შრომაში, ხოლო შაქრო სანიკიძემ, რომელიც კოლმეურნის ჯველა სიკეთით სარგებლობს და რომელსაც 0,5 ჰექტარ საკარმიდამო ნაკვეთზე მთლიანად ვენახი აქვს გაშენებული, სრულებით მიატოვა კოლმეურნეობა და სპეკულანტობას მიჰყო ხელი.

კოლმეურნეობაში 96 კომუნისტია. ეს დიდი ძალაა. მაგრამ ჯერ კიდევ არა ჩანს მათი მაორგანიზებელი როლი. პირიქით, ზოგიერთი კომუნისტი სხვებს კუდში მისჩანჩალებს.

მიმდინარე წლის 27 თებერვალს პარტიულ კრებაზე განიხილეს კომუნისტების ავანგარდული როლის საკითხი, და აი რა გამორკვა — სიმინდის ნაკვეთები დასამუშავებლად ჩაიბარა კომუნისტების მცირე ნაწილმა. სულ 46,5 ჰექტარი. ამასთან ამ ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს მხოლოდ 15 ცენტნერი სიმინდი. და ეს მაშინ, როცა კოლმეურნეობაში საერთოდ საშუალო მოსავალმა ჰექტარზე 19,5 ცენტნერი შეადგინა.

ყურძნის დაბალი მოსავალი მიიღეს იმ ბრიგადებმა, რომლებსაც კომუნისტები შ. ფანცულაია და დ. მილორავა ხელმძღვანელობენ. პირველმა ვენახის თვითეულ ჰექტარზე მიიღო მხოლოდ 2, ხოლო მეორემ — 4 ცენტნერი ყურძენი.

გასაკვირველი როდია, რომ ყოველივე ამის შემდეგ აქ საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგი დაკვეთდა. თვალში გეცემათ საზოგადოებრივი მეურნეობის დაბალი დონე, პირად მეურნეობას რომ შეადარებთ. კოლმეურნეობას სულ 23 ჰექტარი ვენახი აქვს, ხოლო პირად მეურნეობებში 65 ჰექტარია.

შარშან კოლმეურნეობას ახალი ვენახი არ გაუშენებია. წელს ათი ჰექტარი უნდა გააშენონ, მაგრამ სანერგე მასალა არა ჰქონდათ. როგორც იქნა, გაზაფხულზე ერთი ჰექტარი გააშენეს. დანარჩენი სამუშაოები შემოდგომისათვის გადადეს.

№ 6 ბრიგადაში სიმინდის ნაკვეთების დიდი ნაწილი მოსავლელად არ მიუჩინეს კოლმეურნეებს. ამის გამო ე. წ. „გაწყვეტილას“ ფართობში ყანები მართლაც წელშია გაწყვეტილი, დასარეველიანებული და დაჩიავებულია. ცხადია, აქედან ბევრს ვერ მოიმკიან. ასევე მთლიანად დასარეველიანებულია პირუტყვის საკვები ჭარხლის ნათესები.

ვენური ჯიშის ხახვი განთქმულია. მის მოყვანას ძირითადად შუამთის, ტობანიერის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები მისდევენ. ახლა ყველგან მაღალ მოსავალს იღებენ. შუამთაში კი დღემდე აღებულ თვითეულ ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერის ნაცვლად მხოლოდ 40 ცენტნერი ხახვი მიიღეს. კოლმეურნეობამ ვერც სხვა ბოსტნეულს მოუყარა. ამიტომაც არის, რომ გეგმით გათვალისწინებული 55 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს დღემდე მიეყიდა მხოლოდ 7 ტონა პამიდორი. სრულებით არ მიუღიათ ბაღრეულის მოსავალი, მთლიანად დაეღუპათ ოთხ ჰექტარი ბარდის ნათესები.

ჩვენ ვინახულეთ მეცხოველეობის ფერმებიც, რაღა უნდა ითქვას პროდუქტიულობაზე, როცა მიმდინარე წლის შვიდ თვეში თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მხოლოდ 316 კილოგრამი რძე მიიღეს. ძროხებისა და ღორების სადგომებთან მიყვანილი არ არის სასმელი წყალი, არავინ ფიქრობს ფერმის მექანიზაციაზე.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმების ჩაშლას ემატება პროდუქციის თვითდირებულების გაძვირება.

და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როცა შუამთის კოლმეურნეობას მეზობლებთან შედარებით უკეთესი თუ არა, თანაბარი პირობები მაინც აქვს. საქმე ის არის, რომ აქ ვერა და ვერ გამოიყენეს ეს პირობები — დიდი რეზერვები საზოგადოებრივი მეურნეობის წინსვლისათვის.

თავმინებებულია მევენახეობა. კოლტემპებით აშენებენ ახალ ვენახებს, არ უვლიან უკვე გაშენებულს. ამავე დროს კი აქ ვენახებისათვის საუკეთესო მიწებია და ვაზი შეიძლება ოთხჯერ მეტ ფართობზე გაშენდეს.

დაფნის კულტურას აქ დიდი მომავალი აქვს. მეზობელ ტობანიერის კოლმეურნეობაში, მაგალითად, შარშან დაფნის პლანტაციიდან 12 ათას მანეთზე მეტი შემოსავალი მიიღეს. თვითონ შუამთაში, საკარმიდამო ნაკვეთებზე დიდძალი დაფნაა გაშენებული. კოლმეურნეობას კი სულ 2,2 ჰექტარი პლანტაცია აქვს.

დასანანია, რომ მეხილეობითაც არანაკლებ ცნობილ სოფელში თვით კოლმეურნეობას ხუთიოდე ჰექტარი ხეხილის ბაღი აქვს.

კოლმეურნეობას არც ტექნიკის მხრივ აქვს სახარბიელო მდგომარეობა. „ბელარუსის“ მარკის ორი ტრაქტორი საქმეს ვერ აუდის. ერთადერთი სათესი მანქანითა და ორიოდე კულტივატორით ოთხასი ჰექტარი სიმინდის დროულად დათესვასა და დამუშავებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. კოლმეურნეობას სჭირდება აგრეთვე სავენახე ტრაქტორი, მისაბმელი იარაღ-მანქანები.

როგორც ჩანს, შუამთის კოლმეურნეობაში შეეჩვივნენ და შეურიგდნენ შეუწყნარებელ ჩამორჩენას. მართალია, მაიაკოვსკის საწარმოო სამმართველოსა და პარტიული კომიტეტის მუშაკები ხშირად მოდიან აქ, ვითარებას ეცნობიან, მაგრამ საქმეს მარტოოდენ გაცნობა რას უშველის?

შუამთის კოლმეურნეობაში რეზერვები არის, მიწაც კარგია, და საერთოდ აქაური ადამიანები შრომისმოყვარენი არიან. ოღონდ საჭიროა ამ რეზერვების გამოვლინება, ამოქმედება; საჭიროა მეურნეობის კარგად გაძღოლის, ადამიანთა კარგად ორგანიზების უნარი.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 სექტემბერი. საკადესის კორესპონდენტი **მ. სალათელიანი** იტყობინება:

გუშინ შუადღისას ამერიკის შეერთებული შტატების სენატში დაიწყო ატომური იარაღის ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის ოფიციალური განხილვა.

„ოფიციანები“ კვლავ შეეცადნენ დაარწმუნებინათ სენატი, რომ მოსკოვის ხელშეკრულება საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს. ამ მიზნით ჯერ კიდევ ოფიციალური კამათის დაწყებამდე სენატორმა დემოკრატმა სტენისმა (მისისიპის შტატი) გააკეთა განცხადება, რომელიც ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ იყო მიმართული.

შემდეგ დიდი სიტყვა წარმოთქვა სენატის საგარეო საქმეთა საკითხების კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა დემოკრატმა ფულბრაიტმა, რითაც დაიწყო ხელშეკრულების განხილვა.

„იმ საკითხის გადაწყვეტისას, მისცეს თუ არა მთავრობას „რჩევა და დასტური“ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებაზე, — თქვა ფულბრაიტმა, — სენატმა უნდა განიხილოს ორი ძირითადი საკითხი: ჯერ ერთი, შეესაბამება თუ არა ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უშიშროებას და, მეორე, უწყობს თუ არა ხელს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფართო მიზნებს“.

ფულბრაიტი შეეხო ზოგიერთი სენატორის განზრახვას მოიწონონ ხელშეკრულება, ამასთან დაეთხოო მთელი რიგი შენიშვნები და განაცხადა, რომ „ხელშეკრულება მისი ახლანდელი სახით გონიერი და კონსტრუქციული დოკუმენტია“. მისთვის რამეზე შენიშვნების დართვა, განაგრძო სენატორმა, „უგუნური და უპასუხისმგებლო“ იქნებოდა.

ისტორია, განაგრძო სენატორმა, გვაძლევს ერთ სრულიად ნათელ გაკვეთილს — ხანგრძლივი გამალებული შეიარაღება, რომელსაც თან ახლავს საფრთხისა და დაძაბულობის ზრდა, თითქმის ყოველთვის იწვევდა წარსულში ომს. ფულბრაიტმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

იმედი მაქვს, თქვა თავისი სიტყვის დასასრულს ფულბრაიტმა, რომ სენატი მხარს დაუჭერს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

ჯ. ფულბრაიტის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სენატორმა რესპუბლიკელმა ლ. სალტონსტოლმა (მასაჩუსეტსის შტატი). ეს სენატორი, წევრი საბჭედრო მზადყოფნის საკითხთა ქვეკომისიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს „ოფიციანი“ სტენისი, ერთადერთი იყო, ვინც არ მოიწონა ქვეკომისიის მიერ მომზადებული მოხსენება „სამხედრო გამოცდის შესახებ“.

ყველა მოსმენილი ჩვენების ზედმიწევნით განხილვის შემდეგ, განაცხადა სენატორმა, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ხმას მივცემ ატომური იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

შემდეგ კამათში გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მმა სენატორი დემოკრატი ედვარდ კენედი (მასაჩუსეტსის შტატი), რომელმაც მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიკაციას. ე. კენედიმ გამოთქვა იმედი, რომ ეს „ისტორიული ხელშეკრულება სენატში სრულიად დამსახურებულ მოწონებას მოიპოვებს“. თუ ხელს მოვაწერთ ამ ხელშეკრულებას, თქვა სენატორმა კენედიმ, დავიმსახურებთ მსოფლიოს ხალხების მადლობას მათი განთავისუფლებისათვის ორმაგი საფრთხისაგან — რადიაციული ნალექისა და მოსალოდნელი ატომური მოსპობისაგან.

რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერმა სენატორმა ე. დირქსენმა მოაწყო მოკლე პრეს-კონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ ხელშეკრულებას ექნება ორპარტიული მხარდაჭერა სენატში. დირქსენმა გამოთქვა რწმენა, რომ მთავრობა მიიღებს ხმების საჭირო ორ მეასედს ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲑᲝᲜᲜᲘ, 9 სექტემბერი. საკადესის კორესპონდენტი ვ. ივანოვი იტყობინება:

დღეს ბონში ჩამოვიდა ინგლისის თავდაცვის მინისტრი. ოფიციალურად მისი ჩამოსვლა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ფონ ჰასელის ლონდონში უკანასკნელი ჩამოსვლის საპასუხო ვიზიტია. ტორნიკროფტი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 11 სექტემბრამდე დაპყოფს. იგი განიხილავს ბონში „სტრატეგიისა და შეიარაღების საკითხებს“ და ინახულებს ბუნდესვეერის ნაწილებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამხრეთში.

პრესის მონაცემებით, ტორნიკროფტს გააცნობენ პრობლემებს, რომლებიც ბუნდესვეერისათვის გამომდინარეობს ნატოს „წინ წაწეული თავდაცვის“ სტრატეგიიდან ე. ი. ნატოს პროგოკაციული გეგმებიდან, რომლებიც ითვალისწინებენ ბუნდესვეერისა და ნატოს სხვა არმიების ნაწილების გადაადგილებას რაც შეიძლება უფრო ახლოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საზღვრებთან. ცნობილია, რომ ეს გეგმები ნატოს ყბადაღებული სტრატეგიის — „დაშინების“ სტრატეგიის ნაწილია, რომელიც ოდნავ არ შეცვლილა იმის მიუხედავად, რომ მსოფლიოში დაისახა დაძაბულობის შენელების ნიშნები.

ბონში ტორნიკროფტის ვიზიტის პროგრამა ითვალისწინებს აგრეთვე მოლაპარაკებას ინგლისში ბუნდესვეერისათვის ახალი სამხედრო შეკვეთების გადაცემის საკითხზე. ამის შესახებ უკვე იყო ლაპარაკი, როცა ივლისის მეორე ნახევარში ინგლისის ფინანსთა სამინისტროს მთავარი მდივანი ბოიდ-კარპენტერი ბონში ჩავიდა. მის მსმენს, როგორც გაზეთები აღიარებდნენ, მაშინ წარმატება არ მოჰყოლია. ბონი დათანხმდა დაეკმაყოფილებინა ინგლისის თხოვნა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება მის საკუთარ სტრატეგიულ გეგმებსა და ინტერესებს. ტორნიკროფტს დაეკვალა ბოლომდე მიეყვანოს ეს საქმე, რაც ვერ გააკეთა ბოიდ-კარპენტერმა, ესე იგი მიაღწიოს იმას, რომ ბონმა შემდეგი ორი წლის განმავლობაში სავალუტო დახმარება გაუწიოს იმით, რომ გადასცეს ინგლისში, როგორც გაზეთი „დი ველტი“ იუწყება, 1, 2 მილიარდი მარკის შეკვეთები.. ტორნიკროფტს თან მიაქვს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ინგლისის რაინის არმიის რიცხვის შემცირების გეგმა — „არგუმენტი“ იმ შემთხვევისათვის, თუ ბონი კვლავაც არ იქნება დამთმობი მოლაპარაკებაში ფინანსიური პრობლემების შესახებ.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲘ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 10 სექტემბერი. საკადესის კორესპონდენტი **მ. სალათელიანი** იტყობინება:

გუშინ შუადღისას ამერიკის შეერთებული შტატების სენატში დაიწყო ატომური იარაღის ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ გამოცდის აკრძალვის შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის ოფიციალური განხილვა.

„ოფიციანები“ კვლავ შეეცადნენ დაარწმუნებინათ სენატი, რომ მოსკოვის ხელშეკრულება საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებს. ამ მიზნით ჯერ კიდევ ოფიციალური კამათის დაწყებამდე სენატორმა დემოკრატმა სტენისმა (მისისიპის შტატი) გააკეთა განცხადება, რომელიც ხელშეკრულების რატიფიკაციის წინააღმდეგ იყო მიმართული.

შემდეგ დიდი სიტყვა წარმოთქვა სენატის საგარეო საქმეთა საკითხების კომისიის თავმჯდომარემ სენატორმა დემოკრატმა ფულბრაიტმა, რითაც დაიწყო ხელშეკრულების განხილვა.

„იმ საკითხის გადაწყვეტისას, მისცეს თუ არა მთავრობას „რჩევა და დასტური“ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულებაზე, — თქვა ფულბრაიტმა, — სენატმა უნდა განიხილოს ორი ძირითადი საკითხი: ჯერ ერთი, შეესაბამება თუ არა ხელშეკრულება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო უშიშროებას და, მეორე, უწყობს თუ არა ხელს ამერიკის საგარეო პოლიტიკის ფართო მიზნებს“.

ფულბრაიტი შეეხო ზოგიერთი სენატორის განზრახვას მოიწონონ ხელშეკრულება, ამასთან დაეთხოო მთელი რიგი შენიშვნები და განაცხადა, რომ „ხელშეკრულება მისი ახლანდელი სახით გონიერი და კონსტრუქციული დოკუმენტია“. მისთვის რამეზე შენიშვნების დართვა, განაგრძო სენატორმა, „უგუნური და უპასუხისმგებლო“ იქნებოდა.

ისტორია, განაგრძო სენატორმა, გვაძლევს ერთ სრულიად ნათელ გაკვეთილს — ხანგრძლივი გამალებული შეიარაღება, რომელსაც თან ახლავს საფრთხისა და დაძაბულობის ზრდა, თითქმის ყოველთვის იწვევდა წარსულში ომს. ფულბრაიტმა ხაზი გაუსვა, რომ მოსკოვის ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გზაზე.

იმედი მაქვს, თქვა თავისი სიტყვის დასასრულს ფულბრაიტმა, რომ სენატი მხარს დაუჭერს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

ჯ. ფულბრაიტის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სენატორმა რესპუბლიკელმა ლ. სალტონსტოლმა (მასაჩუსეტსის შტატი). ეს სენატორი, წევრი საბჭედრო მზადყოფნის საკითხთა ქვეკომისიისა, რომელსაც ხელმძღვანელობს „ოფიციანი“ სტენისი, ერთადერთი იყო, ვინც არ მოიწონა ქვეკომისიის მიერ მომზადებული მოხსენება „სამხედრო გამოცდის შესახებ“.

ყველა მოსმენილი ჩვენების ზედმიწევნით განხილვის შემდეგ, განაცხადა სენატორმა, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ხმას მივცემ ატომური იარაღის აკრძალვის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

შემდეგ კამათში გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მმა სენატორი დემოკრატი ედვარდ კენედი (მასაჩუსეტსის შტატი), რომელმაც მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიკაციას. ე. კენედიმ გამოთქვა იმედი, რომ ეს „ისტორიული ხელშეკრულება სენატში სრულიად დამსახურებულ მოწონებას მოიპოვებს“. თუ ხელს მოვაწერთ ამ ხელშეკრულებას, თქვა სენატორმა კენედიმ, დავიმსახურებთ მსოფლიოს ხალხების მადლობას მათი განთავისუფლებისათვის ორმაგი საფრთხისაგან — რადიაციული ნალექისა და მოსალოდნელი ატომური მოსპობისაგან.

რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერმა სენატორმა ე. დირქსენმა მოაწყო მოკლე პრეს-კონფერენცია, რომელზეც განაცხადა, რომ ხელშეკრულებას ექნება ორპარტიული მხარდაჭერა სენატში. დირქსენმა გამოთქვა რწმენა, რომ მთავრობა მიიღებს ხმების საჭირო ორ მეასედს ამ ხელშეკრულების რატიფიკაციისათვის.

„ᲓᲔᲘᲚᲘ ᲣᲝᲠᲙᲔᲠᲘᲡ“ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲖᲠᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 სექტემბერი, (საკადესი). ინგლისელ მშრომელთა ორგანო გაზეთი „დეილი უორკერი“ აქვეყნებს თავის მკითხველების მრავალ წერილს, რომლებშიც დაგმობილია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პოზიცია. წერილის ავტორები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას როგორც ერთადერთ სწორ პოლიტიკას შექმნილ პირობებში. ეხება რა უთანხმოებას ომისა და მშვიდობის საკითხებზე, ლონდონის მეცხოვრები ნაჯალ კელსი წერს: მხარს ვუჭერ საბჭოთა კავშირის პოზიციას, რადგან საერთაშორისო (კომუნისტური და მუშათა— რედ.) მოძრაობის მიერ ჩინელთა ულტრა მემარცხენე ხაზის მოწონება იქნებოდა საშიში და მას მოჰყვებოდა დამარცხება.

სწორედ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, განაგრძობს იგი, იცავს ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, და სწორედ საბჭოთა კავშირმა გახადა შესაძლებელი ამ დამოუკიდებლობის მოპოვება. სწორედ სსრ კავშირმა, და არა ჩინეთმა, კარიბის ზღვის რაიონში შექმნილი კრიზისის დროს იხსნა კუბა ინტერვენციისაგან, რომელსაც შეეძლო დაეღუპა კუბის რევოლუცია.

მეორე მკითხველი — რომფორდის (ესექსის საგრაფო) მცხოვრები უ. ფრენჩი მიესალმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებას, „რა შეზღუდული ხასიათიც უნდა ჰქონდეს მას, ასეთი ნაწილობრივი წარმატებაც კი, აღნიშნავს იგი, ხელს შეუწყობს მშრომელთა გაძლიერებასა და დარაზმვას მათ ბრძოლაში ახალ გამარჯვებათა მისაღწევად. უ. ფრენჩი გამოთქვამს რწმენას, რომ მოსკოვის ხელშეკრულება განამტკიცებს მშვიდობის ძალებს.

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲬᲕᲝᲜᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 9 სექტემბერი. (საკადესი). დიდი წარმატებით მიმდინარეობს საფრანგეთში საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის პეტიციის ხელმოწერის კამპანია, პეტიციისა, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ საფრანგეთის მთავრობა შეუერთდეს მოსკოვში დადებულ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. დოკუმენტს, რომელიც დე გოლ-პომპიდუს მთავრობას მოუწოდებს გადავიდეს რეალიზმისა და ახალი აზრის პოლიტიკაზე, სავსებით იწონებენ ფრანგი მშრომელები. ამას წერენ გაზეთ „ლუმანიტეში“, მაგალითად, შრომის საყოველთაო კონფედერაციის რკინიგზელთა პროფკავშირის სენ-ლოს (მანშის დეპარტამენტი) ადგილობრივი ორგანიზაციის აქტივისტები. „ყველა ვეთანხმებით პეტიციას, — ნათქვამია ნოუან-ლურტოს (ენის დეპარტამენტი) ოპტიკური საწარმოს პროფსაბჭოს საერთო კრების ოქმში. იმას, რომ ერთსულოვნად უერთდებიან პეტიციას, აცხადებენ მაღაროელები, რკინიგზელები, ფოსტის, ტრანსპორტის მუშაკები და საფრანგეთის ყველა რაიონის სხვადასხვა დაწესებულების მოსამსახურეები.

ᲔᲠᲗᲘᲡᲣᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲛᲝᲬᲕᲝᲜᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 9 სექტემბერი. (საკადესი). დიდი წარმატებით მიმდინარეობს საფრანგეთში საფრანგეთის მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის პეტიციის ხელმოწერის კამპანია, პეტიციისა, რომელიც შეიცავს მოთხოვნას, რომ საფრანგეთის მთავრობა შეუერთდეს მოსკოვში დადებულ ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. დოკუმენტს, რომელიც დე გოლ-პომპიდუს მთავრობას მოუწოდებს გადავიდეს რეალიზმისა და ახალი აზრის პოლიტიკაზე, სავსებით იწონებენ ფრანგი მშრომელები. ამას წერენ გაზეთ „ლუმანიტეში“, მაგალითად, შრომის საყოველთაო კონფედერაციის რკინიგზელთა პროფკავშირის სენ-ლოს (მანშის დეპარტამენტი) ადგილობრივი ორგანიზაციის აქტივისტები. „ყველა ვეთანხმებით პეტიციას, — ნათქვამია ნოუან-ლურტოს (ენის დეპარტამენტი) ოპტიკური საწარმოს პროფსაბჭოს საერთო კრების ოქმში. იმას, რომ ერთსულოვნად უერთდებიან პეტიციას, აცხადებენ მაღაროელები, რკინიგზელები, ფოსტის, ტრანსპორტის მუშაკები და საფრანგეთის ყველა რაიონის სხვადასხვა დაწესებულების მოსამსახურეები.

ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 10 სექტემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედიმ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება ალაბამის შტატის ამბების გამო. განცხადებაში ნათქვამია, რომ „მთავრობა რაც საჭიროა ყველაფერს გააკეთებს, რათა სრულდებოდეს „სასამართლოთა გადაწყვეტილებანი სეგრეგაციის ლიკვიდაციის შესახებ ალაბამის შტატის სკოლებში“. მაგრამ, ნათქვამია შემდეგ პრეზიდენტის განცხადებაში, „ნათელი უნდა იყოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ღონისძიებანი ალაბამის შუბამის სკოლების მიმართ განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გუბერნატორ უოლესის მოქმედება გვაიძულებს ამას“.

ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 9 სექტემბერი, (საკადესი). ინგლისელ მშრომელთა ორგანო გაზეთი „დეილი უორკერი“ აქვეყნებს თავის მკითხველების მრავალ წერილს, რომლებშიც დაგმობილია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის პოზიცია. წერილის ავტორები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის პოლიტიკას როგორც ერთადერთ სწორ პოლიტიკას შექმნილ პირობებში. ეხება რა უთანხმოებას ომისა და მშვიდობის საკითხებზე, ლონდონის მეცხოვრები ნაჯალ კელსი წერს: მხარს ვუჭერ საბჭოთა კავშირის პოზიციას, რადგან საერთაშორისო (კომუნისტური და მუშათა— რედ.) მოძრაობის მიერ ჩინელთა ულტრა მემარცხენე ხაზის მოწონება იქნებოდა საშიში და მას მოჰყვებოდა დამარცხება.

სწორედ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, განაგრძობს იგი, იცავს ქვეყნებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, და სწორედ საბჭოთა კავშირმა გახადა შესაძლებელი ამ დამოუკიდებლობის მოპოვება. სწორედ სსრ კავშირმა, და არა ჩინეთმა, კარიბის ზღვის რაიონში შექმნილი კრიზისის დროს იხსნა კუბა ინტერვენციისაგან, რომელსაც შეეძლო დაეღუპა კუბის რევოლუცია.

მეორე მკითხველი — რომფორდის (ესექსის საგრაფო) მცხოვრები უ. ფრენჩი მიესალმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების დადებას, „რა შეზღუდული ხასიათიც უნდა ჰქონდეს მას, ასეთი ნაწილობრივი წარმატებაც კი, აღნიშნავს იგი, ხელს შეუწყობს მშრომელთა გაძლიერებასა და დარაზმვას მათ ბრძოლაში ახალ გამარჯვებათა მისაღწევად. უ. ფრენჩი გამოთქვამს რწმენას, რომ მოსკოვის ხელშეკრულება განამტკიცებს მშვიდობის ძალებს.

ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ ᲢᲘᲡᲐᲖᲔ

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ, 10 სექტემბერი. (საკადესი). ბორშოდის ოლქში, იქ, სადაც ტისა მკვეთრად უხვევს სამხრეთისაკენ, გაიშალა გიგანტური მშენებლობა. ამ

ირ. ევდოშვილი.

ИРОДИОН ЕВДОШВИЛИС ДАБАДЕБИС 90 ГЛИСТАВИСАТВИС

ПОЕТИ—ГРИБУНИ

„უკვე ადგა ქარიშხალი, განთიადის მოციქული“ — ამ რევოლუციურ ფრაზას ყოველი მოწინავე მუშა იმეორებდა ბრძოლის ეკლიან გზაზე. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ შალვა დადიანის 1906 წელს დაწერილი პიესა — „როს ხადიმობდნენ“ ევდოშვილის ამ ცნობილი ფრაზით თავდებოდა. ასე ახდენდა ირ. ევდოშვილი გავლენას და ქმნიდა მთელ ეპოქას ჩვენს მწერლობაში.

ირ. ევდოშვილი იყო პირველი პოეტი, რომელმაც რევოლუციური მუშათა კლასი საქართველოს მთავარ ეროვნულ ძალად დასახა. მე-19 საუკუნის ქართულმა პოეზიამ მუშა ერთგვარი თანაგრძნობისა და მოწყალების სულისკვეთებით გამოსახა. ირ. ევდოშვილმა კი რევოლუციური მუშათა კლასი მთელი თავისი სიდიადით და სიმაყით წარმოადგინა. ევდოშვილის მებრძოლ მუშებს მოწყალების სათხოვნელად ხელი როდი აქვთ გაშვერილი, ისინი ფეხაწყობილნი, საბრძოლოდ გამზადებულნი კანონიერად მოითხოვენ იმას, რაც უკანონოდ წაართვეს მათ, მოითხოვენ შეუპოვრობით, დაჟინებით:

„ნუ მაწვდით გროშსა,
ნუ გგონივართ გლახა, უწყალო;
მშიერიც ვიყო,
არა მაქვს-რა მე სამოწყალო“.

მართალია, ირ. ევდოშვილმა ამ მხრივაც საკმაო ევოლუცია განიცადა. პირველი წლების მის ლექსებში ჯერ კიდევ არ ჩანდა სამრეწველო კაპიტალიზმის მესაფლავე პროლეტარიატის ტიპიური წარმომადგენელი, ჯერ კიდევ გლეხი და მუშა განურჩეველი ცნებები იყო ევდოშვილის ლექსებისათვის. ამ მხრივ დამახასიათებელია მისი ლექსი „მუშა“. ამ ლექსში დიდი სიყვარულითა და თანაგრძნობით არის დახატული ქოხში დადებული მშრომელი კაცი, რომელს „აკვანი ლერწამი იყო“ და „სიცივით კრთოდა შიშველი კანი“. ხოლო როცა წამოზარდა, რკინის უღელ ქვეშ მოახრეკინა ცხოვრებამ ქედი. ეს დაცინებული და შეურაცხყოფილი „მუშა“ „ვიღაც ბატონს უპოხიერებს ოფლით მამულსა“.

ასევე თანაგრძნობით გამოხატა პოეტმა კაპიტალისტური წარმოების უკანონო გერები: „მატანტალა“, „განკიცხული“ და სხვა, მაგრამ შემდეგ, როდესაც ირ. ევდოშვილი ახლო გაეცნო მუშათა ცხოვრებას, მან მუშათა კლასი წარმოადგინა, როგორც ყოველი დოვლათისა და სიკეთის შემქმნელი, ამავე დროს შრომის განთავისუფლებისათვის შეუპოვარი მებრძოლი. ლუკმაპურისათვის ბრძოლაში მუშა იძულებულია თავისი ძალა და ღონე გაუმაძღარ კაპიტალისტს მიჰყიდოს. ღარიბმა გლეხმა დათმო თავისი კერა, სოფელი და თავი ქალაქს შეაფარა, მაგრამ ვერც აქ აიცდინა სიღარიბე. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი მუშის წინაშე ბუნებრივად იბადება კითხვა — რათ არის ასე უკანონოდ მოწყობილი ეს ცხოვრება. ირ. ევდოშვილი ამ უკანონობას მთელი შეუპოვრობით შეებრძოლება და მის კლასობრივ არსს განმარტავს:

„რას შესცქერ, ძმაო, ფანჯარაში
მდიდრის ქულაჯას,
არა ჰგავს განა კონკად ქცეულ შენ
ძველ ფარაჯას?
შენ გაკეთე, შენ შეჰქმენი, ძმაო,
ეგ ფარჩა,
მაგრამ რაღაცა მანქანებით შენ კი არ
დაგრჩა.
ის სხვამ წაიღო, შენ გარგუნეს ეგ
კონკის ძველა.
ასე რათ ხდება? ჰკითხე შენ თავს
მაინც ერთხელა“!

და პოეტი ეფსპოლატატორებისაგან დაჩაგრულ მუშებთან ერთად მთელ ქვეყანას ეკითხებოდა—ასე რათ ხდება? ერთი ქმნის, ერთი აშენებს, მეორე ამ დოვლათსა და სიმდიდრეს ითვისებს. ეს ქალაქები, ეს დარბაზები მშრომელთა მარჯვენამ შექმნა, მაგრამ ამ სიმდიდრეში მუშას წილი არ უდგეს. ამ უსამართლობის წინააღმდეგ აღაგზნებდა ირ. ევდოშვილი მუშა ხალხს. ეს საბრძოლო აზრი გამოხატა მან ლექსებში: „საღამო ქალაქში“, „მუზა და მუშა“, „მუშის სიზმარი“, „ჩვენება“, „შეკედილი პეტრე“, „სიმღერა ასოთამწყობისა“ და სხვ.

ასე დაუკავშირა ირ. ევდოშვილმა მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა მის საბრძოლო განწყობილებას, ასე აღუძრავდა და უღვივებდა მას შეუპოვრობისა და ბრძოლის ჟინს. დამახასიათებელია, რომ ირ. ევდოშვილმა ეს რევოლუციური განწყობილება შენიშნა სოფლის გლეხობაშიც და 1905 წლის რევოლუციის ქარბუქიან დღეებში გლეხკაცობის ეს მებრძოლი სულისკვეთება მუშათა კლასის საბრძოლო განწყობილებას დაუკავშირა. ირ. ევდოშვილის გლეხი ინერტული, ბედის მორჩილი, ღმერთის გახარჩენის მომლოდინე, მოწუწუნე ტეტია როდია, არამედ მებრძოლი, შეუპოვარი, რომელიც ყველა იმედს ბრძოლაზე, შრომაზე, თავისუფლებაზე ამყარებს. გლეხის რევოლუციური ბუნება ხაზგასმულია ირ. ევდოშვილის შემდეგ ლექსებში: „გლეხის ფიქრები“, „მოჯამაგირე“, „გლეხი“, „სოფელში“, „ურმული“.

პოეტმა გლეხკაცის მდგომარეობის გაუმჯობესების ერთადერთ გზად ბრძოლის გზა მიიჩნია:

„ქმარა, ან ტყვია, ან სამართალი!
მშიერ-ტიტველო, შვილო, ნუ სტირი,
ჩაგრული ხალხი აღდგა, აზვირთდა,
უკვე მეძახის ბრძოლის საყვირი“!

„ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა, პროლეტარიატი, ერთად-ერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მას სათავეში და პირველად დარაზმა აშკარად რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალის აღმა პირველად იგრიალა 1905 წელს“ — წერდა ლენინი. ირ. ევდოშვილმა, როგორც მხატვარმა, სწორად შენიშნა ეს ისტორიული ეპოქა და მთელი სისრულით გამოხატა თავის მებრძოლ ლექსებში.

მწერლის სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის პირად ცხოვრებას. პოეტის სულზე წარუშლელ კვალს ტოვებს მისი პიროვნული ხვედრი. ერთია შორიდან, მაყურებლის თვალით დანახული ცხოვრების ელვარე ტალღები, მეორეა — ვიცე თავად ცხოვრების ძმიმე უღელშია შებმული და საკუთარ თავზე განიცდის მის მკაცრ განაჩენს, რიგითი ადამიანის ბედით და ხვედრით ცხოვრობს. ირ. ევდოშვილი რევოლუციამდელი დაჩაგრულთა არმიის რიგითი წევრი იყო და მთელი ის დამცირება და ტანჯვა, რაც თან სდევდა მშრომელი კაცის გზას, მთელი სიმძაფრით განიცადა. იგი ხარივით უღელში შებმული ეწეოდა ცხოვრების ძმიმე ჭაპანს, აბიტომაც ასე გულით განიცადა ქართველი გლეხისა და მუშის ბედი, და ასე შეუპოვრად შეებრძოლა მათს სოციალურ და ეროვნულ მტრებს.

ირ. ევდოშვილის ბიოგრაფია განუყოფლად დაკავშირებულია მშრომელი ხალხის ცხოვრებასთან. ამ ცხოვრებიდან იღებდა იგი პოეტურ, სულიერ საზრდოს და ასე ქმნიდა თავის საუკეთესო ნაწარმოებებს.

ИРОДИОН ЕВДОШВИЛИ დაიბადა 1873 წელს სოფელ ბოდბისხევში (ქიზიყი). მამამისი ისაკ თადას-ძე ხოსიტაშვილი, წარმომშობით გლეხი, ამ დროს სასულიერო პირი, ბოდბისხევის ეკლესიის დიაკვანი იყო. მშრომელთა წრიდან იყო გამოსული მისი დედა ევდოკიაც. ევდოშვილს განსაკუთრებით უყვარდა ეს პატიოსანი მშრომელი, კეთილი და სათნო ქალი და ამ სახელიდან შექმნა შემდეგ თავისი სამწერლო ფსევდონიმიც — ევდოშვილი.

მომავალმა პოეტმა ბავშვობა სოფელში გაატარა. აქ გაეცნო ქართველი გლეხის ცხოვრებას და გულით შეიყვარა ეს ქალამნიანი გუთხისდედა, ვეფხის მსხვილი და პურის მთესველი გლეხი.

სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებლისა და თელავის სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ იგი 1890 წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში შეჰყავთ. სემინარია ამ დროს რევოლუციური ახალგაზრდობის ბუდეს წარმოადგენდა. მომავალი პოეტი აქ დაუახლოვდა რევოლუციური ახალგაზრდობის ჯგუფს. აქ შეჰფიცა მათ ძმობა და ერთგულება და მესამედასულთა პოლიტიკური კრედო გაიზიარა, რის გამო იგი 1893 წელს გარიცხეს სემინარიიდან, როგორც არაკეთილსაიმედო პოლიტიკური შეხედულების ახალგაზრდა. და აი აქედან იწყება ირ. ევდოშვილის მძიმე ცხოვრებითი ბიოგრაფია. ის ერთ ხანს სამხედრო სამსახურს სწავლობს და ყუბანის პოლკის ერთ-ერთ ქვეით დივიზიაში „ვოლნოოპრედელიაიუშჩად“ ჩარიცხული ეწევა ჯარისკაცულ ცხოვრებას. შემდეგ იგი მე-15 ქვეით პოლკში გადაყავთ, სადაც უმცროსი უნტეროფიცერი ხდება. რამდენიმე ხნის შემდეგ ირ. ევდოშვილი სამწყობრო სამსაზურიდან სათადარიგო ჯარში გადარიცხეს.

1896 წლიდან ირ. ევდოშვილი თაკვანებულ სამხედრო სამსახურიდან ბაქოს მუშათა ეკლესიის ბაქოს ნობელის ნავთის საწარმოო კანტორაში. ბაქოში იგი ოთხი წელი რჩება.

პოეტის ბიოგრაფიაში ბაქოს მუშათა წრეში ყოფნამ განსაკუთრებული როლი შეასრულა. აქ ის ახლოს გაეცნო მუშათა კლასის ცხოვრებას. იგი ბაქოს ტექნიკურად ჩამორჩენილი ნავთის სარეწების მაზუთსა და ნავთში გათხუპნული მუშების გვერდით ცხოვრობდა და მოწმე იყო მათი ბაჯირვებისა. აქ პოეტმა პირველად იგრძნო და შეისრუტა ის ჰაერი, რომელთაც შემდეგ გააცოცხლა მან მუშათა კლასის წარმომადგენლები თავის შესანიშნავ მოთხრობებსა და ლექსებში.

1899 წლის ბოლოს ირ. ევდოშვილი თავის სოფელშია, მახხანის ახლად დაარსებულ დეპშიი მუშაობს. 1904 წელს რუსეთ-იაპონიის ომთან დაკავშირებით ირ. ევდოშვილი გაიწვიეს სამხედრო სამსახურში და ასლანდუზის სამარქაფო ბატალიონში გაამწესეს.

1905-1907 წლებში ირ. ევდოშვილი უახლოესი და აქტიური მონაწილეა რევოლუციური მოძრაობისა. გამოდის მუშათა კრებებზე, მონაწილეობას იღებს დემონსტრაციებში, ჯარის ნაწილებიდან იარაღით ამარაგებს რევოლუციურ მუშებს. ერთ საიდუმლო ცხობაში ოხრანკის აგენტები ასე ახასიათებდნენ ევდოშვილის რევოლუციურ მოღვაწეობას: „ასლანდუზის ბატალიონში, ქალაქ ელისავეტპოლში (განჯაში) სამსახურში მყოფი სათადარიგო პრაპორშჩიკი ირიოდინ ხოსიტოვი (ხოსიტაშვილი) — ქართველი პოეტი, რომელიც წერს ევდოშვილის ფსევდონიმით, აწარმოებს დანაშაულებრივ პროპაგანდას... ბატალიონის თოძმის ყველა ჯარისკაცი იმყოფება ამ პროპაგანდის გავლენის ქვეშ. ამას გარდა, დასახელებული ხოსიტოვი აწვდის სოციალ-დემოკრატებს იარაღს: ბერდანის თოფებს და ბრაუნინგისა და ნაგანის რევოლვერებს. იარაღს იწერს ქარხნებიდან, იარაღის მაღაზიების მეპატრონეთაგან“. ირ. ევდოშვილი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის დავალებით განჯიდან საიდუმლოდ, გადაცმული მიემგზავრება თბილისში და კავშირს ამყარებს არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასა და ჯარისკაცებს შორის. შემდეგ ევდოშვილი რჩება თბილისში და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას ეწევა როგორც პოეტი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგითი ჯარისკაცი.

ЛИТЕРАТУРА იცნობს მწერლებს, რომელთა სახელი ერის ცხოვრებაში მომხდარ ისტორიულ ქარტეხილებს უკავშირდება. ასეთი მწერლების რიცხვს ეკუთვნის ირ. ევდოშვილი. მისი პოეტური სახელი 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალს ამოკუჯა. როგორც რევოლუციის ნამდვილი ტრიბუნი და ერთგული ჯარისკაცი, იგი გვერდში ამოუდგა მუშათა კლასს და საბრძოლო ლექსებით აღაგზნებდა მას ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მთელი მისი შემოქმედება რევოლუციის პათოსმა მოიცვა.

СЕРГИ ЭПИЛАИА

□

როგორც ცნობილია, 1905 წლის რევოლუციამ შეარყია ცარიზმის ტახტი. რევოლუციური პროლეტარიატის მეთაურობით შეიარაღებული ხალხი ბრძოლის ველზე წყვეტდა თავის მომავალს. ევდოშვილი თვითონ იყო ამ რევოლუციის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, პრაქტიკული მებრძოლი და რიგითი ჯარისკაცი, პოეტი აღფრთოვანებით მიესალმა რევოლუციის ამ პირველ გაზაფხულს:

„გულში, გულში გაზაფხულის
სხივმა დაჰკრა, გაიცინა
და იმედმა ფრთა შესხმულმა,
აღმადგინა, აღმაფრინა!
ქარი კვნესის, ჩანგი მღერის,
სიხარულით თრთოლავს გული,
ეს პირველი სხივი არის:
მეგობრებო, გაზაფხული!“

იგი მზად არის, რორგორც რევოლუციის ჯარისკაცი, ყველაფერი შესწიროს თავისუფლების გამარჯვების საქმეს, თუ საჭირო იქნება, საკუთარი სიცოცხლეც კი:

„რა ვუყოთ, თუ კი უმსხვერპლოდ
ღამეს ვერ გაუთენია!“

რევოლუციის ქარბუქიან დღეებში ირ. ევდოშვილმა გამოქვეყნა თავისი საუკეთესო რევოლუციური ლექსები: „პირველი სხივი“, „მოლოდინში“, „მერცხლის სმღერა“, „წითელი დროშა გაიშალა“, „გმირის საფლავზე“ და სხვ. ამ პერიოდში იგი არა მარტო ორიგინალური ნაწარმოებებით ეხმაურებოდა რევოლუციას, არამედ საგანგებოდ თარგმნიდა მებრძოლ ლექსებს: „ინტერნაციონალს“, და სხვა სასიმღერო რევოლუციურ ლექსებს. ამ თარგმანებში თავისუფლად და მოხერხებულად არის ჩართული პოეტის საკუთარი რევოლუციური სტრიქონები. ამ მხრივ სანტერესოა ლექსები: „ჩამოდექით“, „გარიბალდის სმღერა“, „მუშის სიმღერა“, „წითელი დროშა“, „პროლეტართა სიმღერა“ და სხვა. პოეტი მედგრად აცხადებდა:

„არ გვაშინებს ჩვენს საფლავი,
არ გვაშინებს ბორკილები,
შეგვიწირავს ჩვენი თავი,
რომ სამშობლო ჩვენი იყოს
ბრწყინვალე და ბედნიერი,
რომ სამშობლოს მრავაშოროთ
თქვენისთანა ურცხვი მტერი“.

ხოლო მეორე ლექსში პოეტმა უფრო მძაფრად გამოხატა ეს საბრძოლო განწყობილება:

„უკანასკნელად შევუტიოთ ჯალათსა,
უკანასკნელად დავსცეთ თავზარი,
ვაშა, ვაშა ამ ჩვენ წითელ დროშასა,
გვწამს გვიღება განთიადისა კარი“.

არა მარტო თავის საბრძოლო ლექსებში, არამედ პროზაშიც, სატირულ ლექსებშიც, პუბლიცისტურ წერილებშიც დრამატულ ნაწარმოებებშიც იგი მედგრად ილაშქრებდა მჩაგვრელების წინააღმდეგ, გამოხატავდა და გამოსახავდა მუშათა კლასის საბრძოლო ცხოვრებასა და განწყობილებებს. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი დამსახურება როგორც პროზაიკოსისა. ირ. ევდოშვილმა შიო არაგვისპირელთან და ჭოლომთათიძესთან ერთად საფუძველი ჩაუყარა ქართულ მწერლობაში პოლიტიკური ხასიათის მცირე ფორმის პროზას. მისი ნოველები, ეტიუდები, მინიატიურები, რევოლუციური მუშათა კლასის ცხოვრებასა და განწყობილებას გამოსახავენ. ამ ნაწარმოებების გმირები — ულოკაბატონო, ღარიბ-ღატაკი, ტვირთმძიმენი, ბედისაგან დაჩაგრულნი — რიგითი ადამიანები არიან: ეს იქნება ობოლი ვანო და ცაცა თუ პროლეტარი ზალიკა („ორი ობოლი“), დალაქი მიხა თუ ბედისაგან განწირული ენოქი („სასუნელი ენოქი“), ბაქოს სარეწების მუშა ადიელა („შადრევანი“) თუ რევოლუციონერი ტუსაღი („ციხეში“), ამ მოთხრობებში მოცემულია პირუთვნელი აღწერა იმ კომშრუნული სინამდვილისა, რომელშიც მშრომელი ხალხი იმყოფებოდა ცარისტულ რუსეთში და მის ნაციონალურ ოლქებში.

აი როგორ აღწერს ირიოდინ ევდოშვილი ბაქოელი მუშების ცხოვრების მძიმე სურათს:

„ღრუბლიანი, მაგრამ წყნარი დღე იყო. სამეცეცხლურებისა და სახელოსნოების კომლი, ორთქლთან ერთად ჯანყვივით შემოჰხვეოდა ბაბურღილების კოშტურებს, და ამ ნისლში ბალახანა შორიდან რაღაც ზღაპრულს ხეს მოგაგონებდთ. აქა-იქ ისმოდა ტუმბოების ტკაცანი, ორთქლის ქვაბებისა და მანქანების ხმაური. ქუჩებში ფაცაფუცით მოძრაობდნენ შავი, მაზუთში მოსვრილი, ადამიანის მსგავსი ფიგურები, ჯაგვები ზედ მანეგბამდის ეფლობოდა მტვერში. ჰაერი გაჟღენთილი იყო მაზუთის ირითი და ორაცანარ განსაკუთრებული მყრალი სუნით, რომელიც ყაზარმების ღია კარებიდან და ირგვლივ დაყრილი დამპალი ნაგავიდან მოდიოდა“.

მწერალი ულუკმაპურად დარჩენილ ადამიანთა და უუფლებოთა არმიას დიდი შინაგანი ტკივილებითა და სიყვარულით გვიხატავს, და მათ ცხოვრებას აგვიწერს შეულამაზებლად. აქაც ისე, როგორც ლირიკულ ლექსებში, ირ. ევდოშვილი ულმობლად ამხილებდა მჩაგვრელებს, მძარცველებს.

კაპიტალისტური ცხოვრების უსამართლობა დიდი სიმართლით გამოხატა ირ. ევდოშვილმა პოემაში — „მუზა და მუშა“. ეს პოემა ნამდვილი მანიფესტია რევოლუციური პოეზიისა. ევდოშვილის აზრით, მწერლობა უნდა ემსახურებოდეს ხალხს, უფრო მეტი, არა ზოგადად ხალხს, არამედ რევოლუციურ მუშათა კლასს. ეს რეალისტური კონცეპცია ირ. ევდოშვილმა 1905 წლის რევოლუციურ ქარიშხლიან დღეებში წამოაყენა და დაასაბუთა პოემაში „მუზა და მუშა“. ამ ნაწარმოების ცენტრალური საკითხს წარმოადგენს ხელოვნებისა და ცხოვრების ურთიერთობის საკითხი, უფრო სწორად ხელოვნებისა და მუშათა კლასის ურთიერთობის საკითხი და ამ მხრივ მას თავისი აქტიური მნიშვნელობა დღემდე შენარჩუნებული აქვს.

პოემის შესავალში მოცემულია კაპიტალისტური ცხოვრების წესის დახასიათება და ამ ექსპოზიციაში კონტრასტული სურათი იშლება: ერთი შრომობს, მეორეს მიაქვს, ერთი — ის, ვინც ქმნის, შიმშილით კვდება, მეორე — ის, ვინც ითვისებს და ართმევს მშრომელს, მეჯლისშია, განცხრომაში.

„მუშავ, მონა ხარ შენი ოფლისა,
და სათამაშო გასართობელი,
მიწის მასხარა, მასხარა ცისა!
შენ კაცი გქვიან, მაგრამ სადა გაქვს
ადამიანის წმინდა უფლება.
შეხედე შენ მკერდს, რა უყავ ოფლი,
ვისთვის და რისთვის იგი იღვრება?!
აშენებ დარბაზს, — სახლი არა გაქვს,
ებრძვი მიწასა — კვდები მშიერი,
ვისთვის მუშაობს ეგ შენი მკლავი!
და რისთვისა სცემს მკერდი ძლიერი?
შეხედე ქალაქს, შეხედე სოფელს,
შენ გაკეთე ეს ქანდაკება.
მას შენი ოფლის ბეჭედი აზის,
მას შენი სული თავზე ევლება,
მაგრამ ვისია? გაქვს შენ იქ წილი?
სადა გაქვს ბინა, ცხოვრების გერო!“

ამგვარად დასმულ კითხვაში იყო უდიდესი გულისწყრომა და პროტესტი არსებული უსამართლობის წინააღმდეგ. ხოლო შემდეგ, ამ კლასობრივი და სოციალური კონტრასტის ფონზე პოეტი აყენებდა საკითხს, როგორი უნდა იყოს ამ ვითარებაში ფუნქცია ხელოვნებისა, მოვალეობა პოეტისა. პოემაში ამ კითხვაზე პასუხს იძლევა პოეტი. მუშას მუზა გამოეცხადება, მუშა განუმარტავს „ოქროს დარბაზების მესტვირეს“, რომ ცხოვრების ნამდვილ აზრს იგი არ იცნობს. აი გაპყავს მას, იგი ჩაახედებს სარდაფებში, ქარხნის ჯურღმულებში და ანახებს შავხალათიან მუშებს, რომელთა სახეს აწერია „მხოლოდ შიმშილი, მხოლოდ შიმშილი“! მუშასთან ერთად ნახავს ამ სინამდვილეს მუზა. იგი შეძრწუნდება და აღმოხდება: „რისთვის და ვისთვის ვაქცერდი სიმებს, ოდეს სიცოცხლე ყოფილა კრული“?. იგი დასწყევლის სიცრუეს და ორპირობას და გადაწყვეტს ხელი აიღოს ჩანგზე, მაგრამ მუშა ისევ ჩააგონებს მას, რომ იგი ცდება, ასეთ ვითარებაში საჭიროა არა განზე გადგომა, არამედ ცხოვრების ცენტრში ყოფნა, რომ აამხედრო ეს მილიონობით არმია უსამართლობის ტახტის დასამხობად. და აი მუზამ გადაწყვიტა ამ მილიონთა არმიას ემსახუროს და ამიერიდან:

„ათრთოლდა მუზა, რწმენა, იმედი
მას დაუბრუნდა; ათრთოლდა ჩანგი,
და ათი ათასს ხმას შეუერთა
მან საბრძოლველი თავისი ჰანგი“.

ასე დაუკავშირა პოეტმა ხელოვანის, მუზის საბრძოლო გზა მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლას. მუშათა კლასის რევოლუციურ ინტერესებს დაუმორჩილა მან ყოველივე ამ ქვეყანაზე.

ასე გახდა ირ. ევდოშვილი მებრძოლი პროლეტარიატის დიდი ტრიბუნი. სამწუხაროდ, ირ. ევდოშვილმა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა ეს რევოლუციური პათოსი. იგი 1908 წლიდან ჩამოსცილდა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. რასაკვირველია, შეცდომა იყო, როდესაც იგი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას გადაუდგა და ფედერალისტებს მიემხრო. შეცდომას უშვებდა იგი მაშინაც, როცა თავის წერილებში, უკვე გადასახლებაში მყოფი, აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატებს.

ВНОВИЛИА, რომ ევდოშვილი 1909 წელს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა ანარქისტ კროპოტკინის წიგნი „პური და თავისუფლება“ და მისი ქართული თარგმანი. ეახდარმერიამ ევდოშვილის წინააღმდეგ საბრალდებლო საბუთად გამოიყენა ეს ფაქტი, თან გაუხსენა 1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობა და ყველა ამ მოტივით ის ადმინისტრაციის წესით რუსეთის ერთ-ერთ შორეულ გუბერნიაში გადასახლა. აქ ევდოშვილი სამინდელ სიღატაკეს, შეურაცხყოფასა და დაცინებას განაცდიდა. ერთ პირად ბარათში იგი თავის მეუღლეს სწერდა: „დღეს, როგორც იყო ვიმშვივ ხუთი შაური და შვიდკაპიკიანი მარკა... როდემდის გავუძლებ შიმშილს, არ ვიცი“.

ვინც ირ. ევდოშვილის ბიოგრაფიას თუნდაც ერთი თვალის გადავლებით გაეცნობა, ის დარწმუნდება, რა ძმიმე იყო მისი პირადი ცხოვრება, რა უკუღმართი იყო მისი მოქალაქეობრივი ბედი. და ასეთ ძმიმე ვითარებაში იგი დაუოკებლად ებრძოდა მშრომელი ხალხის მტრებს, რუსეთის ცარიზმს, ადამიანების ექსპლოატაციითა და სისხლით გაბერილ ბურჟუაზიასა და გაბერვინილ თავკერძა მემამულეებს. ვერც სიღარიბემ, ვერც გადასახლებამ, ვერც დევნამ და შევიწროებამ ვერ გატეხა მისი მებრძოლი პოეტური სული, თუმცა ოდიი ენება მიაყენა მას და მის საბრძოლო ჩანგს.

რეაქციის წლების პირველ შემოტევას ირ. ევდოშვილმა გაუტეხელი მებრძოლის შემტევეთი სულისკვეთებით უპასუხა. იგი დაუზოგავად ამხილებდა ყველა მერყეულ, ორპირ და დამფრთხალ ინტელიგენტს, კვლავ იდგა რეკოლუციის სადარაჯოზე. სწორედ 1907 წელს რეაქციის შემოტევის წლებში გაისმა ირ. ევდოშვილის მებრძოლი ხმა „ზორს ჩვენგან“. „ზორს ჩვენგან სვედა და წუხილი, მოთქმა და ტირილი, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა შეუპოვარი“. ხოლო 1909 წელს ლექსში „ახალო წელო“ ბორკილთა ჩხარუნში, ხალხთა ქვითინში, პოეტი კვლავ ებრძვის წყვდიადს და უსამართლობას. იგი კვლავ მოუწოდებს თავის მებრძოლ ძმებს გავიდნენ ბრძოლის ველზე და ისევ შემოსძახონ ბრძოლის სიმღერა, სანამ არ გაიღვიძებს მძინებული ეს მთაბარი:

„საით, ძმობილო? — იქით, საითაც
კიდევ მოგელით მამული შვილებს,
ჩვენ ვიველით ასე მუდამ სიმღერით,
ვიდრე მთა-ბარი არ გაიღვიძებს“.

სამშობლოდან გადასახლებული, ეტაპით გაგზავნილი პოეტი მაინც არ იღებს ხელს მომავლის რწმენაზე. იგი კვლავ მედგრად აცხადებს:

„მივდივარ, ბორკილს მივაჩხარუნებ,
მაგრამ თან მომდევს მასთან იმედი,
მწამს, საბოლოოდ რომ ხალხს უპყრია
თავისი ხვედრი, თავისი ბედი“.

ევდოშვილი ბოლომდე დარჩა თვითმპყრობელობის ტახტთან შეურიგებელ პოეტად. მაგრამ ჩვენ არ ვიქნებოდით მართალი, თუ ვიტყოდით, რომ ირ. ევდოშვილი გაუბზარავად შერჩა რევოლუციას როგორც მისი ერთგული ჯარისკაცი.

არა! რეაქციის სუსხმა ძლიერ აცივა პოეტს მებრძოლ ჩანგს და ერთგვარად გაბზარა იგი. თუ ევდოშვილი ადრე, რევოლუციის დღეებში, ქარიშხალს ეტრფოდა, მას იტაცებდა ჭექა-ქუხილი, ახლა მისი ლექსების ლექსიკონი ხშირად ივსება სიტყვებით: კუბო, სასაფლაო, წყვდიადი და სხვა ამისთანანი. პოეტს სასაფლაო უყვარს, იგი გამხდარა მისი სატრფო:

„მიყვარს საფლავი, ჩემი სატრფოა,
იქ ჩავასვენე მე სიყვარული,
იქ არის ჩემი წმიდათა-წმიდა,
ჩემი ედემი და ბაღ-ბოსტანი.
აქა დგას კუბო, ჩემი საუნჯე,
მე მას ვეხვევი, ვეალერსები,
მისი ეროგული, მისი ლარჯი,
მასზე ვლოცულობ, თავზე ვევლები“.

ის იწყებს თავის ადრინდელი მებრძოლი განწყობილებების ერთგვარ გადაფასებას, იგონებს წარსულის ამ დღეებს და ამას სიყმაწვილის ტკბილ სიზმარს უწოდებს, რომელიც არასოდეს არ ახდება:

„მიდის სიცოცხლე, სისინებს ქარი,
აჰ, რად ვიტანჯე, რისთვის მიყვარდა
სიყმაწვილისა ტკბილი სიზმარი“.

ამგვარი უიმედობის გამომხატველი ლექსები ირ. ევდოშვილის შემოქმედებაში ცოტა როდი გვხვდება. აქვე ისაც უნდა ვთქვათ, რომ ირ. ევდოშვილის გულგატეხილობა, მისი სევდიანი განწყობილების ასე წინ წამოწევას ხელი შეუწყო რეაქციის შავბნელმა ეპოქამ, რომელმაც ცოტა ზიანი როდი მიაყენა საერთოდ რევოლუციურ მოძრაობას. რეაქციამ დაარბია რევოლუციური ორგანიზაციები. დაუპატიმრეს და გადაასახლეს საუკეთესო რევოლუციონერები. დაცარიელდა მებრძოლი არალეგალური ორგანიზაციები. ამან უთუოდ დიდი ზიანი მიაყენა პოეტს მგრძნობიარე, ლირიკულ გულს. ამას მიემატა ერთი ყველაზე აღმაფოთებელი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეაქციის შავბნელ წლებში. ეს იყო ილია ჭავჭავაძის ვერაგულად მოკვლა. მაგრამ ჩვენ **არ გვეგულება ლექსი, რომელშიც ევდოშვილი გადასცდებოდეს მუშათა** კლასს. მისი მოთხრობებისა და ლექსების გმირებად ისევ მუშათა კლასი იყო და მთელ იმედს, მომავალ საქართველოს იმედს, იგი კვლავ მშრომელ ხალხზე ამყარებდა.

„МЕГОБРЕБИСА“ და „მუზა და მუშის“ ავტორი განუყოფელად ეკუთვნის მუშათა კლასს. იგი იყო მისი დიდი ტრიბუნი და ასევე დარჩა მომავალ თაობათა ხსოვნაში.

ირიოდინ ევდოშვილი არ ყოფილა ქართული ლექსის დიდი ნოვატორი. ოღონდ მან ტრადიციულ ლექსში ახალი ინტონაცია შეიტანა, ახალი ძლიერი ნაკადი, რომელიც მისი პოეტური ღიმსახურებაა. ეს ახალი იყო ის რევოლუციური პათოსი და რიტმი, რომელმაც თავისებური ჟღერა მისცა ქართულ ტრადიციულ ლექსს. მართალია, იგი მეტ წილად მისდევდა აკაკისა და ილიას მიერ დამკვიდრებულ პოეტურ ფორმას, ზოგჯერ მათთან შედარებითაც კი გაამარტივა ქართული ლექსი პოეტური გამოსახულების ფორმებით და ინტონაციურად მაინც უთუოდ წინ წასწია ქართული კლასიკური ლექსი.

რევოლუციური მუშათა კლასის მხატვარმა, რევოლუციური იდეების მგზნებარე ტრიბუნმა ირ. ევდოშვილმა რევოლუციის რიტმი შეუფარა ქართულ ეპოქას, — რევოლუციური, დემონსტრანტი მუშათა კლასის აწყობილი ფეხის ნაბიჯების რიტმი გადმოიტანა პოეზიაში და დატვირთა იგი მოწოდებითი სატრიბუნო პათეტიკური კოლოთი და ინტონაციით. პოეტმა მუშათა კლასის საბრძოლო ყიჟინის მუსიკადა ლექსის მებრძოლი სული, ინტონაცია და მთელი მისი მხატვრული ფაქტური. ეს უთუოდ დიდი დამსახურებაა ირ. ევდოშვილისა.

მისი ახალი პოეტური ინტონაცია 1905 წლის ქარიშხალმა დაბადა. რევოლუციის ქარიშხალი ქროდა ევდოშვილის ლექსებში. „მეგობრებო წინ, წინ გასწიო“ — ტრადიციულ ლექსის ფორმაში დაბადებული ახალი ინტონაცია იყო, რომელიც თავის მხრივ იმპულსი გახდა გალაკტიონ ტაბიძის ნოვატორული ქართული ლექსის დაბადებისა. ირ. ევდოშვილის მებრძოლმა ლექსებმა გამოაღვიძეს გ. ტაბიძის ნოვატორული რიტმი ოქტომბრის დღეებისა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს გ. ტაბიძის ცნობილი ლექსი „დროშები ჩქარა“. ამ მხრივ პირდაპირი კავშირი არსებობს ევდოშვილის „მეგობრებსა“ და გალაკტიონ ტაბიძის ლექსს „დროშები, ჩქარა“ შორის. ერთხელ კიდევ მოვიგონოთ ეს ლექსები:

„МЕГОБРЕБИС“

მეგობრებო, წინ... წინ გასწით.
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე მკერდს ხისლის დალი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!

წინ, წინ მედგრათ შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენ დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

დეე ჩვენ ტოლთ, უგვანო შვილთ,
**კერპ

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

ვინ მოიგო „ვოლგა“, „მოსკვიჩი“...

ცხინვალი (ტელეფონით „კომუნისტის“ საკ. კორ.). გუშინ, 10 სექტემბერს, ქ. ცხინვალში კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1963 წლის (მეექვსე გამოშვების) ლატარიის მოგებათა ტირაჟი. გათამაშდა ფულისა და ნივთების 120.000 მოგება 225.000 საერთო თანხისა.

ავტომანქანა „მოსკვიჩი“ ხვდა 15 101 სერიის № 403, 15 743 სერიის № 014, 16 455 სერიის № 153 ბილეთებს.

ავტომანქანა „ვოლგას“ მიიღებს 16625 სერიის № 332 ბილეთის მფლობელი. ავტომანქანა „ზაპოროზეცი“ ხვდა 15.176 სერიის № 186, 15 812 სერიის № 110, 16 335 სერიის № 231 ბილეთებს.

საწოლი ოთახის გარნიტური მოიგო 16.715 სერიის № 240 ბილეთმა. პიანინოებს მიიღებენ 17 998 სერიის № 132,17 860 სერიის № 133 ბილეთების პატრონები.

სულ ამ ტირაჟში გათამაშდა 2 ავტომანქანა „ვოლგა“, 8 „მოსკვიჩი“, 8 „ზაპოროეცი“, 2 საწოლი ოთახის გარნიტური, 19 პიანინო და 30 მაცივარი.

* * *

გათამაშების მთლიანი ოფიციალური ცხრილი დაიბეჭდება „კომუნისტის“ უახლოეს ნომერში.

ქართული ღვინო საზღვარგარეთ

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სამტრესტის ზესტაფონის ღვინის ქარხნის კოლექტივი სუფრის ღვინოებს გზავნის არა მარტო ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის შორეულ კუთხეებში, არამედ მეგობარ დემოკრატიულ ქვეყნებშიც.

ახლახან ზესტაფონელებმა 67.000 დეკალიტრი ღვინო გაუგზავნეს პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის მშრომელებს.

ამ დღეებში საკავშირო პროფსაბჭოს მხატვრულ ბრიგადასთან ერთად კუბაში საგასტროლოდ გაემგზავრა საქართველოს კავშირგაბმულობის კულტურის სახლის მოცეკვავეთა ჯგუფი — ბ. სვანიძე (ჯგუფის ხელმძღვანელი), ლ. უთმელიძე, ჯ. სამხარაული, ო. ლომსაძე და პ. კობეშავიძე.

კუბაში საგასტროლოდ

ქართველ მოცეკვავეთა საგასტროლო რეპერტუარში „ქართული“, „მთიული“, „განდაგანი“, „სატრფიალო“ და „ფარიკაობა“.

ამ ჯგუფის წევრები, რომლებიც შარშან იაპონიაშიც იყვნენ საგასტროლოდ, კუბაში ქართული მხატვრული თვითმოქმედების პირველი წარმომადგენლები არიან.

მაღალი ჯილდო

ამბროლაური. (საკ. კორ.). კარგად ემსახურება კოლმეურნეებს ჭრებალოს სამომხმარებლო კოოპერატივის კოლექტივი. სავაჭრო ქსელში წარმატებით დანერგა კულტურული ვაჭრობის წესები, ყველა მაღაზიაში სისუფთავე და წესრიგია. ვაჭრობის სახელმწიფო დავალება სისტემატურად გადაჭარბებით სრულდება.

ამ დღეებში ამბროლაურში მოვიდა სასიხარულო ცნობა — ცეკავშირის გამგეობამ და პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა, როგორც სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს, მეორე კვარტალში ჭრებალოს სამომხმარებლო კოოპერატივს მიაკუთვნა გარდამავალი წითელი დროშა და ფულადი პრემია.

მაღალმა ჯილდომ ახალი შრომითი ენთუზიაზმი შემატა ვაჭრობის მუშაკებს.

ავადმყოფთან ბიბლიოთეკარი მოვიდა

ტყიბული. (საკ. კორ.). პიღასი ბაბუხადიამ ბავშვობიდანვე შეიყვარა წიგნი. იგი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი აქტიური მკითხველი იყო, მაგრამ მოულოდნელად ავად გახდა, რევმატიზმმა ლოგინს მიაჯაჭვა.

ერთ დღეს მას საქალაქო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის გამგე თამარ ჭანტურიძე ესტუმრა და ახალი წიგნები მიუტანა. ენერგიული ბიბლიოთეკარი ხშირად მდის აგრეთვე ავადმყოფ თამარ ჯიშიაშვილის ბინაში და მიაქვს მისთვის საინტერესო წიგნები.

მოკლედ

☐ **ზუგდიდი.** (საკ. კორ.). ლამაზი და კეთილმოწყობილი ხდება სოფელი ლია. სოფლის კეთილმოწყობაში დიდი წვლილი მიუძღვის კოლმეურნეობა „თბილისს“. კოლმეურნეობამ ამ ორი-სამი წლის მანძილზე ააშენა ორი დაწყებითი და ერთი რვაწლიანი სკოლის შენობები, აბანო, დამთავრდა სოფლის ელექტროფიკაცია. ამ დღეებში კი აქ გაიხსნა ორსართულიანი კლუბ-კინტორის შენობა, რომლის მეორე სართულზე მოთავსდა კოლმეურნეობის გამგეობა, პირველ სართულზე — კლუბი. კოლმეურნეებმა კულტურის ახალ კერაში იზეიმეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება.

☐ **ამბროლაური.** (საკ. კორ.). რაიონის სოფლებში წარმატებით ხორციელდება ელექტროფიკაციის სამუშაოები, კოლმეურნის მრავალი ოჯახი ილიჩის ნათურებით არის გაჩირაღდნებული.

ამ დღეებში კარგი საჩუქარი მიიღეს შარდომთელმა კოლმეურნეებმა. „სოფლელექტრომშენის“ სამმართველომ დაამთავრა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა. მთიან სოფელში უკვე ანთო შუქი.

ოკეანეზე ქლიერნი



„შოთა რუსთაველი“ დაბრუნდა აფრიკიდან

□

პირველი ქართული საოკეანო თევზაჭერი ტრაულერი „შოთა რუსთაველი“ შორეული ნაოსნობიდან დაბრუნდა. მსოფლიო ოკეანეში გავლებულია კვალი, რომელსაც უთუოდ აღნიშნავს ქართული თევზაჭერი ფლოტის მემატიანე. ფლოტს ვამბობ, რადგანაც საქართველო მალე მიიღებს კიდევ ორ ტრაულერს „გალაკტიონ ტაბიძეს“ და „ვასილ კიკვიძეს“, რომლებიც მსოფლიო წყლებში აწარმოებენ თევზის რეწვას. ეს ორი გემი, რომლებიც „ტროპიკის“ ტიპისანი არიან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შენდება საბჭოთა მთავრობის დაკვეთით, საბჭოთა ინჟინრების პროექტის მიხედვით.

„შოთა რუსთაველმა“ 14 აპრილს დატოვა კალინინგრადის ნავსადგური და 141 დღეღამის განმავლობაში 32 ათასი კილომეტრი განვლო სამშობლოში დაბრუნებამდე. ეკიპაჟში 80 კაცი გვყავდა. ტრაულერი ძირითადად ჩვენი რესპუბლიკის მეზღვაურთა და საზღვაო სპეციალისტთა ძალებით დაკომპლექტდა.

რეისის დროს, 141 დღეღამის განმავლობაში ქართველმა მეზღვაურებმა და მებადურებმა განვლეს შესანიშნავი საზღვაო სკოლა. ოკეანე მხოლოდ მამაცებს ემორჩილება. ამ პრინციპით ეზრდიდით მეზღვაურებსა და მებადურებს. ჩვენ გადავლახეთ არა მარტო ზღვის სტიქიასთან ბრძოლის, არამედ 80 მეზღვაურისა და მებადურისაგან ერთიანი მეჯოდრო კოლექტივის შექმნის სიძნელეები.

ჩვენ ირგვლივ შემოვუარეთ ევროპის კონტინენტს, გავიარეთ ატლანტიკის ოკეანე აფრიკის სანაპიროების გასწვრივ მაროკოდან უოლფიშ-ბეიმდე... ჩვენ მოვხვდით ათას ერთი ღამის ეგზოტიკის ქვეყნებში. გავჩერდით ბიბრალტარში არა იმიტომ, რომ დაგველია შოტლანდური ვისკი, არამედ თევზსარეწი რუკები აგვეღო. ვნახეთ წყალდიდობა კონგოში, როცა ის მთელ კუნძულებს მიათრევდა კონტინენტიდან ოკეანეში. იქ რომანტიკის სანაცვალად როდი ჩაგსულვართ, ძვირფასი თევზი „სარდინი“ უნდა დაგვეჭირა უზარმაზარ ოკეანეში. ჩვენს თავზე გრუხუნებდა აფრიკის ჭექაქუხილი, სახეში გვცემდა ტროპიკული ქარი და წვიმა. ქართველ მეზღვაურებს და მებადურებს აფრიკის შორეულ ნაპირებთან გვახსოვდა სამშობლოს დავალება — დაგვეჭირა და გადაგვეშუშავებინა 1.400 ტონა თევზი, აგვეთვისებინა თევზსაჭერის ახალი რაიონები, გამოგვეცადა ახალი თევზსარეწი ტექნიკა და მეთოდები. ამ სამი დიდი დავალების შესასრულებლად იბრძოდა საქართველოს პირველი თევზსაჭერი ტრაულერის „შოთა რუსთაველის“ კოლექტივი ატლანტიკის წყლებში.

141 დღეღამე ვასრულებდით ამ დავალებას. ეს დიდი საზღვაო ეპოპეაა. დასანანია, რომ არ ძალმიძს ამ წერილში აღვადგინო ამ ეპოპეის ცოცხალი და მღელვარე ფურცლები, მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ მალე საქართველოს ეკრანებზე იხილავთ დოკუმენტალურ ფილმს „შოთა რუსთაველის“ მამაც ეკიპაჟზე. ფილმი გადაიღო საქართველოს ქრონიკალური და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ოპერატორმა ამხ. აჯიბეგაშვილმა, რომელიც ამ შორეულ რეისში ჩვენთან იმყოფებოდა.

მოგითხრობთ ამ რეისის მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე.

გიბრალტარიდან გასვლის შემდეგ კაპპლანის კონცხთან მაისის პირველ რიცხვებში ვაწარმოეთ ტრალებით თევზის პირველი რეწვა. დავრწმუნდით, რომ ბადეები რიგზეა, მაგრამ გემზე დადგმულმა „ჭკვიანმა“ მანქანებმა გვირჩიეს: თევზის მარაგი აქ ცოტაა, სხვაგან წადითო. ჩვენც გვინეის ყურეში წავედით. კარგი დარი იყო მეთევზეებისათვის; ხშირი წვიმები და სიცხე. დავზვერეთ ზღვის წიაღი; თევზის მარაგი საკმაო იყო. კონგოზე წყალდიდობამ შეგვიშალა ხელი, ანგოლის ნაპირებისაკენ ავიღეთ კურსი. დავზვერეთ უოლფიშ-ბეის სანაპიროები. 17 მაისს დავიწყეთ თევზის რეწვა. ტრალის პირველი ჩამოვება, პირველი წარმატებლობა. ამას იმწამსვე გამოეხმაურა კედლის გაზეთი „ზვიგენის კბილზე“, რომელსაც მეზღვაური ნ. ჯორბენაძე რედაქტორობდა. დანატეს უზარმაზარი ბადე, რომელსაც 80 კაცი ეწევა და ერთი პატარა ლიფსიტა ამოაქვს ოკეანიდან.

საჭირო იყო ტექნიკის უკეთ ათვისება. გემის მთელი ტექნიკური პერსონალი შეუდგა ამ საქმეს. სულ მალე ტრალმისტერებმა ნადარეიშვილმა, კაპანაძემ, დონდუამ წარმატებით გაგვახარეს. რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე 15 ტონა თევზს ვიჭერდით დღეში. თქვენ უნდა გენახათ მეზღვაურთა მოღიმარე სახეები. გამარჯვება ყველას ახარებდა.

თევზის პროდუქცია წავიდა გადასამუშავებელ საამქროში. თევზი იქ იყინებოდა, გადამუშავების შედეგად ვიღებდით თევზის ფქვილს. პირველი ხანებში აქაც გაგვიჭირდა, მაგრამ ტექნოლოგმა ვ. დონაძემ შეძლო საქმის გამოსწორება. რიტმულად ამუშავდა ტრაულერის ყველა უბანი.

უოლფიშ-ბეის სანაპიროებთან დავიწყეთ თევზის ღრმა ჭერა — 220 მეტრ სიღრმეზე. ეს ძნელი საქმეა. გვშველოდა გემზე დადგმული თანამედროვე ტექნიკა და ადამიანები, რომლებმაც ეს ტექნიკა ათვისეს. სულ მალე ტრიუმები გაივსო თევზის პროდუქციით. მეტი ჭერა არ შეგვეძლო, სათავსები არა გვქონდა. 5 ივლისს გამოჩნდა ღია ზღვაში დიზელელექტრომავალი „სევასტოპოლი“, რომელმაც ჩვენი პირველი პროდუქცია სამშობლოში წამოიღო. ჩვენ განვაგრძეთ რეწვა.

რა არ მოაქვს ტრალს ოკეანიდან. ვეშაპის ჩონჩხი, თევზის სრულიად ახალი ჯიშები. მათ შესასწავლად უოლფიშ-ბეიში შევიძინე სმიტის წიგნი „აფრიკის თევზები“. ეს კაპიტალური ნაშრომია. კარგი იქნება იგი ქართულ ენაზე ითარგმნოს. დაკართან ვეშაპის ჯოგი ვნახეთ. ვინანე, რომ გემზე არ გვქონდა ვეშაპთსახსოვი იარაღი. ვეშაპებმა ფლოტილია „სლავა“ გამახსენეს. იმ ფლოტილიით მოვიარე მთელი ანტარქტიკა. მართალია, თევზის ჭერა ვეშაპებზე ნადირობა როდია, მაგრამ ეს საჭირო და საინტერესო საქმეა.

ოკეანეში ჩვენ მარტო თევზებთან და ვეშაპებთან როდი გვქონდა შეხვედრა. ზღვაში უფრო დიდი მეკობრეებიც ვნახეთ, ვიდრე ვეშაპია. ეს იყო ამერიკის მე-6 სამხედრო ფლოტთან შეხვედრა. ჰაერში დაფრინავდნენ ამერიკული თვითფრინავები, შორს ჩანდნენ სამხედრო გემები. ჩვენ მშვიდობიანი კურსით მივიწევდით წინ. უცებ საიდანაც გაჩნდა ორი შვეულმფრენი. ისინი ძალიან ახლოს მოვიდნენ ჩვენთან და გარკვევით დავინახეთ როგორ დაიწყეს ოპერატორებმა ჩვენი გემის გადაღება. სხვა არა შეგვეძლო რა, ჩვენმა ოპერატორმა საპასუხოდ მათ გადაუღო სურათი. კიდევ კარგი, რომ ეს შეხვედრა მხოლოდ ოპერატორების „დუელით“ დამთავრდა.

უილფიშ-ბეის ნავსადგურში მარტო ახალი სასმელი წყლის, ხილის და სურსათის ასაღებად როდი შევედით. ავადმყოფებს მაჩაიძესა და კარიაჩკოვსკის ქირურგიული დახმარება ესაჭიროებოდათ. ექიმებმა პირველ წამლად მათ ბიძელია შესთავაზეს. მერე მოგვთხოვეს დოკუმენტი, რომ, თუ რამე მოუვიდოდათ, ჩვენ არავითარი პრეტენზია არა გვქონოდა. ჩვენ პროტესტი განვაცხადეთ. ბოლოს ყველაფერი მოგვარდა.

იქ ვნახეთ ზანგების დისკრიმინაციისა და ჩაგვრის საშინელი სურათები, კოლონიალიზმის საზიზღარი გრიმასები. გემზე ნავსადგურის მუშა ზანგები მივიღეთ, ვაჩვენეთ საბჭოთა ფილმები.

გვჭონდა შეხვედრა ბიზნესმენებთან. ისინი „შელისა“ და „მობილ ოილის“ კომპანიებიდან იყვნენ. ბიზნესმენს ბიზნესის ენაზე უნდა ელაპარაკო. ერთხელ „შელის“ კომპანიამ უსაფუძვლო პრეტენზიები წამოგვიყენა. ჩვენ დავეუძრეთ, რომ ყველა საბჭოთა ხომალდი ბოიკოტს გამოუცხადებდა „შელის“ და კონტრაქტს დადებდა კომპანია „მობილ ოილთან“. უნდა გენახათ, კონკურენციის შიშით „შელის“ მსახურები როგორ დგებოდნენ თითის წვერებზე და გვემსახურებოდნენ ამ საუბრის შემდეგ.

დამთავრდა 141 ძნელი დღეღამე აფრიკის წყლებში. სამშობლოს დავალება შესრულებულია 134,5 პროცენტით. ტრაულერ. „შოთა რუსთაველის“ ეკიპაჟი მზად არის სამშობლოს ახალ დავალებათა შესასრულებლად. იგი მაღლიერია იმ გულწრფელი მიღებისა, რომელიც მას საქართველოს საზღვაო ჰიმკრებში — ბათუმში, ხოლო შემდეგ ფოთში მოუწყეს, იმ ყურადღებისა, რომელსაც მის მიმართ იჩენდა რესპუბლიკა და მისი პრესა.

„შოთა რუსთაველი“ ახალი რეისისათვის ემზადება.

ა. ზენაიშვილი,
შორეული ნაოსნობის კაპიტანი.

* * *

სურათზე: „შოთა რუსთაველი“ შედის ბათუმის ნავსადგურში.

ავტოგზა ახალი აკადემია

ვისაც ჩელიუსკინელების ხიდთან გაუვლია, მის ყურადღებას უთუოდ მიიპყრობდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გორაკზე წარმოებული მშენებლობა. აქ წინათ პატარ-პატარა ქოხები იდგა. ახლა კი ლამაზი ოთხ-ხუთი სართულიანი შენობები წამოჭიმულა. ზოგი უკვე დამთავრებულია და ხარაჩოებით არის შემოსილი, ზოგს კი მხოლოდ შენობის ხერხმალი ამოუმართავს მიწიდან. აქ მიმდინარეობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ძირითადი კომპლექსის მშენებლობა.

როგორც მეცნიერებათა აკადემიის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების გამგემ გ. კალატოზიშვილმა გვაცნობა, ამ კომპლექსში უნდა აშენდეს 30 კორპუსი აკადემიის ინსტიტუტებისა და ლაბორატორიებისათვის. უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს ხელნაწერთა ინსტიტუტის შენობის, გეოფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის, აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის მშენებლობა.

შემდგომ წლებში დაიწყება აკადემიის მთავარი კორპუსის მშენებლობა. აშენდება ცალკეული კორპუსები გეოფიზიკის, ელექტროქიმიისა და გამოყენებითი ქიმიის, ლიტერატურის ისტორიის, ფსიქოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ეკონომიკის, ფილოსოფიის და სხვა ინსტიტუტებისათვის. ორი კორპუსი დაეთმობა რადიოტექნიკის პრობლემების შემსწავლელ დაწესებულებას, აშენდება სამთო სამეცნ. ინსტიტუტის კორპუსი, მუზეუმის შენობა, აგრეთვე გათვალისწინებულია მოეწყოს სასპორტო მოედნები და სხვადასხვა სათავსები. აკადემიის კომპლექსის მთავარი არქიტექტორია „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის არქიტექტორი გ. ლეჟავა.

ცნობილია, თუ რაოდენ მდიდარია უნიკალური ხელნაწერი წიგნებითა და დოკუმენტებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი. მარტო ქართული ხელნაწერი წიგნების ოდენობა აქ 10.000 ცალს აღწევს, ხოლო ისტორიული დოკუმენტებისა (სიგელ-გუჯრების სახით) 30.000 ცალს. გარდა წერილობითი დოკუმენტებისა, ინსტიტუტის ფონდებში წარმოდგენილია გასული საუკუნის ჩვენი კლასიკოსი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი არქივები, აგრეთვე ხელნაწერი წიგნები და ისტორიული დოკუმენტების კოლექციები რუსულ, ბერძნულ, სომხურ, არაბულ, სპარსულ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებზე. ინსტიტუტის ფონდებშია ჯერაც გაუშიფრავი პალიმფსესტები.

ჩვენი კულტურის ეს ძვირფასი საგანძური ჯეროვნად რომ იქნას დაცული და შეიქმნას ნორმალური პირობები მისი მეცნიერული კვლევისათვის, შენდება ხელნაწერთა ინსტიტუტის სპეციალური შენობა. ინსტიტუტის შენობის პროექტის ავტორები არიან „საქქალაქმშენსახპროექტის“ არქიტექტორები გ. ლეჟავა, ვ. ცუხიშვილი და თ. თოდრაძე.

შენობა შედგება ორი მოგრძო კორპუსისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გადასასვლელი ვესტიბიულით. კომპლექსის ერთ ნაწილში მოთავსდება ინსტიტუტი. აქ პირველ სართულზე იწარმოებს წიგნების მიღება და დამუშავება, რისთვისაც გათვალისწინებულია მოეწყოს ქიმიური და ფოტოლაბორატორიები, სარესტავრაციო სახელოსნოები. შემდეგ ორ სართულზე იქნება ოთახები მეცნიერი მუშაკებისათვის, მცირე ბიბლიოთეკა.

შენობის მეორე ნაწილი წარმოადგენს ყრუკედლებიან საცავს, სადაც მოთავსდება ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდები. აქ წიგნების დასაცავად შექმნილი იქნება სპეციალური მიკროკლიმატი. საცავს გარდა შენობის ამ ნაწილში იქნება სალექციო დარბაზი და ოთახი ხელნაწერებზე მომუშავეთათვის.

შენობა ძირითადად თანამედროვე არქიტექტურული სტილით არის გადაწყვეტილი. იგი გარედან მოპირკეთებული იქნება ეკლარის ქვით. ამჟამად მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია. მიმდინარეობს მოპირკეთებისა და შიდა სანტექნიკის სამუშაოები.

აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავისი არქიტექტურული სახით ერთ-ერთი ლამაზი შენობა იქნება აკადემიის კომპლექსში. იგი ხუთი სართულისგან შედგება და ფასადით ჩელიუსკინელების ქუჩისაკენ იქნება მიმართული. შენობის პროექტის ავტორები არიან არქიტექტორები გ. ლეჟავა და ლ. ლიბერმანი.

ბიბლიოთეკის ძირითად ნაწილს წარმოადგენს წიგნის საცავი, რომელიც 3,5 მილიონი ტომისთვის არის გათვალისწინებული. ამას გარდა აქ იქნება დიდი სამკითხველო დარბაზები მეცნიერი მუშაკებისათვის, სტუდენტებისათვის. წიგნების შეკვეთა-გაცემა იწარმოებს ავტომატიზებული წესით, იმუშავებს სხვადასხვა ლიფტები, შუქსიგნალიზაცია და სხვ. ერთი სიტყვით, ყველა პირობა შეიქმნება იმისათვის, რომ მკითხველმა არ დაკარგოს არც ერთი წუთი უქმად და დროზე მიიღოს სასურველი ლიტერატურა.

წიგნის შენახვისათვის საცავში შექმნილი იქნება სპეციალური მიკროკლიმატი. ასეთი კლიმატი იქნება დაცული სამკითხველო დარბაზშიც.

* * *

ლ. ხუგულური.

სურათზე: ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის პროექტი.



მატჩები და შეჯვრები

გუშინ გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები ფეხბურთში.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა და მინსკის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს მინსკელებმა 2:0.

ლენინგრადის დინამოელებს საკუთარ მოედანზე პაექრობა ჰქონდათ ხარკოვის „ავანგარდთან“. მატჩის შედეგია 3:2 დინამოელთა სასარგებლოდ.

ფეხბურთის მოყვარულები ახალი, რიცხვით 25-ე ტურის წინაშე დგანან. აქედან პირველი ორი მატჩის მოწმენი გუშინ ვიყოვით, დღეს გაიმართება შვიდი წყვილის ორთაბრძოლა, ხვალ კი ჩემპიონატის ლიდერი, იტალიის ტურნედან გამარჯვებით დაბრუნებული მოსკოვის „დინამო“ საკუთარ მოედანზე „მოლდოვასთან“ პაექრობით კვლავ ჩაებმება ბრძოლაში.

ამ მატჩებიდან რომელს მივაკუთვნოთ გარკვეული უპირატესობა, ან რომელი იქნება ყველაზე ეფექტური, დასახელება ძნელია. მაგრამ თუ გადავაგლებთ თვალს სატურნირო ცხრილს და ლიდერთა მდგომარეობას, ნაწილობრივი გადახრა მაინც მოსკოვის „დინამოსა“ და „მოლდოვას“, „ზენიტისა“ და თბილისის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და „სპარტაკის“ გუნდების შეჯიბრებისაკენ უნდა მოვახდინოთ.

როგორც ვხედავთ, აქ ლიდერთა ოთხეულთან გვაქვს საქმე. მაგრამ ამ მატჩებიდან პირველ რიგში შეგვიძლია გამოვყოთ „შახტიორისაგან“ განაწყენებული „ზენიტისა“ და გასვლით მატჩებში მყოფ თბილისის დინამოელთა თამაში. ახლა მეტოქეთათვის წარუმატებლობა მოშაკედინებელი იქნება.

დღეს ფეხბურთის მოედნებზე

როგორც გუშინ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოდან გვაცნობეს, „ზენიტთან“ მატჩში უნდა ითამაშონ მესხმა და ბარქაია.

ქუთაისშიც მოსალოდნელია დიდი ფეხბურთი. წარუმატებლობა კუიბიშევსა და ლენინგრადში სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ქუთაისის ტორპედოელებმა პოზიციები დათმეს. „სპარტაკს“, რომელიც ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია, განზრახული აქვს წელსაც შეინარჩუნოს პირველობა.

სხვა ქალაქებშიც უნდა მოველოდეთ დიდ პაექრობას. აი ეს წყვილები: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „პახტაკორი“, „დინამო“ (კიევი) — „კირატი“, „არარატი“ — „შახტიორი“, „ნეფტიანიკი“ — „ლოკომოტივი“, სკა — „კრილია სოვეტოვი“.

ნაკრების გამგზავრება

მალე რუმინეთში დაიწყება დიდი საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში, რომელშიც გარდა მასპინძლებისა მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, იუგოსლავიის, უნგრეთის, შვეიცის და სხვა გუნდები.

სსრ კავშირის წალხთა მესამე სპარტაკიადის შემდეგ დაკომპლექტდა ჩვენი ქვეყნის ნაკრები, რომელიც შეკრებას მოსკოვში გადიოდა. გუნდის უფროსი მწვრთნელია თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი ნ. გვახარია.

სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრები გუნდი რუმინეთში გაემგზავრა.

სტოკჰოლმის ფიცარნაგზე

სტოკჰოლმის „ერიკსდალს-ჰალეს“ სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს ძალოსანთა დიდი პაექრობა — მსოფლიოს პირველობის გათამაშება. როგორც ცნობილია სტარტზე წარმატება საბჭოთა შტანგისტ ა. ვახონინს ხვდა, შემდეგ კი იაპონელ ი. მიაკეს.

და აი ფიცარნაგზე გამოვიდნენ მსუბუქი წონის შტანგისტები, რომელთა შორის იყვნენ საბჭოთა სპორტსმენი ვ. კაპლუნოვი, პოლონელი მ. ზელინსკი და სხვები.

აჭიმვაში უძლიერესი იყო მ. ზელინსკი. მან აწევა შედეგი — 135 კილოგრამი. ვ. კაპლუნოვისა და მეორე პოლონელი შტანგისტის ვ. ბაჟანოვსკის მაჩვენებლები იყო 132,5 კილოგრამი. მ. ზელინსკიმ მოპოვებული უპირატესობა კიდევ უფრო გაზარდა, სამჭიდში 417,5 კილოგრამით გაიმეორა მსოფლიო რეკორდი და ოქროს მედალი მოიპოვა.

ვ. კაპლუნოვმა და ვ. ბაჟანოვსკიმ სამჭიდში მოაგროვეს 410 კილოგრამი თვითეულმა. ვერცხლის მედალი ხვდა ვ. ბაჟანოვსკის.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ოპერა და ბალეტი

11 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის, ისანი (საზამთრო) — შესანიშნავი შვიდეული, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, კოსმოსი, გაზაფხული, ნაკადული** — მამაკაცები ჩვენს სახლში (I-II სერია), **ამირანი** (საზაფხულო) — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **ოქტომბერი** — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, **ისანი** (საზაფხულო) — როგორ იბადებიან სადღეგრძელეები, **თბილისი** — რომაელი ჟურნალისტი (I-II სერია), **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **კოლმეურნე** — მესამე რაკეტა, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — სიგნალები ქალაქის თავზე, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ვერაგობა და სიყვარული, **დიდუბე** (საზამთრო), **თანამგზავრი, ვაკის პარკი** — ორი ნაბიჯი შეცდომამდე, **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ხელშეუხებელი (I-II სერია), **კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი** — სამი პლუს ორი.

კინო

11 სექტემბერი

რუსთაველის სახელობის (საზამთრო) — შესანიშნავი შვიდეული, **ამირანი** (საზამთრო), **ფილარმონიის ბაღი, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოლხიდა, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კიროვის სახელობის პარკი, კომუნარების ბაღი, კოსმოსი, გაზაფხული, ნაკადული** — მამაკაცები ჩვენს სახლში (I-II სერია), **ამირანი** (საზაფხულო) — როკო და მისი ძმები (I-II სერია), **ოქტომბერი** — შვიდი ძმის შვიდი საცოლე, **ისანი** (საზაფხულო) — როგორ იბადებიან სადღეგრძელეები, **თბილისი** — რომაელი ჟურნალისტი (I-II სერია), **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო), **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **კოლმეურნე** — მესამე რაკეტა, **საქართველო** (წითელი დარბაზი) — სიგნალები ქალაქის თავზე, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზაფხულო) — ვერაგობა და სიყვარული, **დიდუბე** (საზამთრო), **თანამგზავრი, ვაკის პარკი** — ორი ნაბიჯი შეცდომამდე, **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ხელშეუხებელი (I-II სერია), **კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კულტურის სახლი** — სამი პლუს ორი.

რადიო

12 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 08.25 ქართული პოპულარული მუსიკა, 11.15 — კონცერტი მანუელ დე ფალიასა და პაბლო სარასატეს ნაწარმოებებიდან, 12.10 — აჭარის რადიოს გადაცემა, 12.25 — მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების კონცერტი, 13.40 — აზერბაიჯანული სიმღერები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ქ. ჭილაშვილის მოთხრობები, 18.10 — მუსიკალური რადიოვიქტორინა, 18.45 — ფრაგმენტები ა. ბალანჩივაძის ბალეტ „მთების გულიდან“, 19.30 — გამოსვლები, შთაბეჭდილებები, აზრები, გეგმები, 20.15 — გადაცემა ციკლიდან — „თეატრი მიკროფონთან“, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

მეორე პროგრამით

20.00 — გრიგი. საკონცერტო უვერტიურა „შემოდგომა“, 20.15 — გადაცემა — „მუდამ ახლის ძიებაში“, 20.30 — ესტრადის ოსტატთა კონცერტი, 21.30 — ნაწყვეტი ა. ფადეევის რომანიდან „ახალგაზრდა გვარდია“.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატი დაფსწრებელი სწავლების სტუდენტების საყურადღებოდ აცხადებს:

აკადემიური დავალიანების დაფარვა იწარმოებს ა. წ. 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

თბილისისა და ქუთაისის სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტებში მეცადინეობა დაიწყება 27 სექტემბრიდან.

რაიონებში მცხოვრები სტუდენტებისათვის ლექციები და ლაბორატორიული სამუშაოები ჩატარდება შემდეგი გრაფიკით:

I კურსი 11 ნოემბრიდან
II და III კურსი 15 ოქტომბრიდან
IV და V კურსის 23 სექტემბრიდან

სახელმწიფო გამოცდები იწარმოებს 1 ოქტომბრიდან.

სტუდენტებმა სესიებზე გამოცხადებისას თან უნდა იქონიონ ცნობა სამუშაო ადგილიდან.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო იუწყება მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ

მიხეილ ივანეს-ძე კოკოჩაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

რედაქტორი
დ. მეიდლიშვილი.

გავლილია ტურნირის ნახევარი

პაპანინს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე მეთერთმეტე ტურით ამოიწურა ბრძოლის პირველი ნახევარი. ამ ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ტალი აგრესიული ბრძოლისათვის იყო განწყობილი და დამარცხა ინგლისელი საერთაშორისო ოსტატი რ. ვეიდი.

სსრ კავშირის ჩემპიონ ვ. კორჩნოის პაექრობა ჰქონდა იუგოსლავიელ გროსმაისტერ პ. ტრიფუნოვიჩთან. შეხვედრა საბჭოთა მოჭადრაკის უპირატესობით წარი